



მარკეზი

სუპროცესორი

ISSN 1987-8729



სამაცნეო რო-საიცორმალო ჟურნალი

№8 (40), აგვისტო, 2014

როდოდიტი®

(ტექუპონაზოლი - 60გრ/ლ სპ)

თასლის დასამუშავებელი სისტემური ფუნგიცილი
მოქმედების ფართო სამატერიალი



ძოსეავადი ღა
ძირი ხარისხი იწყება აქტუალ!



„ლომგა ლომთაგორა“

გთავაზე ეს ერთი ქართველი ცელეპილნერების მიერ გამოწვენილ და აღ-
მიღებული კლიენტები კიბის აღმატებულ პილოტებთან შეხედულ ეს ერთული ცოდნების უც-
ველსავლიან ინფრასტრუქტურულ ჯიშვებს საქართველოს ყველა რაიონისთვის!

აირველი რაიონების საუკეთესო
ეს ერთული ცოდნების თასები

ცოდნების თასები	ლომთაგორა
თასების განვითარების უნარი	მის. 90% – მას. 97%
1000 მარცვლის წლება	მის. 40 წლ. მას. 50წ.
სისუსტავი (კიბის აღმატებული ციფრი)	მის. 90% – მას. 100%
გამანიურად დაზიანებულ გარევალთა რაოდენობა	მის. 0,01 – მას. 3%
ტანი	მის. 8,0% – მას. 13%
სარეველას თასები	მას. 0,1%
ინერციული მასალის შემცველობა	მას. 1%
სხვა მოვალეობის კულტურის სამისალი მასალები	მას. 0,01%
სარეველას თასები	მას. 0,01%

სამისალი გასაჭა დამუშავებულია
ფუნგიცილიტეტი და გასუზითავებულია
საკარანტინო გავრცელებისგან

სამისალი გასაჭა დამუშავებულია 25 და
50 კილოგრამიან კოლიდრობილის
პარკეტი შესაბამისი ეტიკეტით.

ცენტრული თასების ნატესების სტანდარტი გამოწვეული და დამტკიცებულია „ეგილ სამისალის კონცენტრაციას“ მესამედიდის მიერ.



საქართველო, მარნეულის რაიონი, შპს. „ლომგა ლომთაგორა“
“FIRM LOMTAGORA” LTD, Georgia, Marneuli Region,
ტელ.: (+995 91) 20-25-25
www.lomtagora.com; E-mail: info@lomtagora.com

WORLD TECHNIC

მსოფლიო ტექნიკა



www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge

☎ 2 90 50 00 2 18 18 81

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და
ტექნოლოგიების მომღერძელები დიდი კომპანია!



Challenger



seppi m.



SCHULTE



VALTRA

ინდივიდუალურად თქვენთვის



**ვალტრას ტრაქტორები -
ა სერიის კომპაქტური მოდელები
ინდივიდუალურად თქვენთვის**



ოფიციალური დილერი
WORLD TECHNIC
საქართველო ჩეხეთი

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
+99 50 00; +2 18 18 81

AG აღიანს ჯგუფი
ლიზინგი

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად



**ახალი აგრარული
საქართველო**
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინიციატივო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
აგვისტო, 2014 ნები.
№8 (40)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგუარ ებარიძე, რეზე ჯაბიძე, მიხეილ
სოხაძე, თამარ სანიაძე, ნოდარ ბრეგაძე,
გიორგი ბარიაშვილი (ეგვიპტება-
შეკვეთების რედაქტორის რედაქტორი),
თამარ გუგუშვილი (მდლ. კრის. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რეკლ მახარიბლიძე (თავმჯდომარე),
ნოდარ ჩხატულიძე, გურაბ ალაქაძე,
ნუგუარ ებარიძე, პატარ კილუშვილი,
ელგუჯი შეკვეთების მუნიციპალიტეტი,
შავაძ ბრეგაძე გელიშვილი, ზურა
ჯვერაძები, ზურაბ ჯინჯხაშვილი, ქრისტი
კანაბაშვილი, აღოლ ტემელიშვილი, ნატო
კაცაძე, ქუკური ქერა, კახა ლაშხი, ომარ
თევრაძეს ნუგუარ სარჯევლიძე, დავით ბე-
დია, თენგიზ გურაშვილი, ზურაბ ლოლაძე,
კობა კობაძე, ნუკრი მემარნიშვილი.

გამომცემელი:
„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA)-
საქართველოს რეგიონული ეკონომიკური
პრიორიტეტების კლეიპითი ცენტრი „რეგიონიკა“;
Regionica – Georgian Research Center for Regional
Economic Priorities.
რედაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.regionica.org/journal.
agroasca@gmail.com

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ეროვნული“
(ციფრული ბიბლიოთეკა)
www.dspace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული საქართველო

დააკაბლონა გიორგი მასურაძემ
ფრენალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრეზიდენტი.
The journal acts in accordance with the principles of free press.
© სავტორო უფლება დაცულია.
All rights reserved.
რეფერირებადა 2011 წლიდან
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

WORLD TECHNIC
მსოფლიო ტექნიკა
www.worldtechnic.ge

6

საზოგადოებასთან კომუნიკაცია გაატიქოსადება

ეს არის კიდევ ერთი გამორჩევა.
ყველა ევროპული ქვეყანა იდგა ამ
გამორჩევის წინაშე და ყველამ თავი-
სებურად დაარეგულირა ეს საკითხი.

**9**

6 გავანივები საქართველოს მოწვევები

უსუსურია სასამართლოს მსჯელო-
ბა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე
მუხლთან დაკავშირებით.

27

6 გავანივები საქართველოს მოწვევები

როგორც სპეციალისტები აღნიშ-
ნავენ, საქართველოს 400-500 ათასი
ტონა ვაშლის ნარმოების პოტენცია-
ლი აქვს.

**6 „სოფლის მეურნეობის
გავითარების სტრატეგია“**

აირეოლი აგვისტოში
სერსათის ეტიკეტზე
გერმანების – „ორგანიკი“,
„ეკო“, „გიო“, გამოიხატა
8 აირძოვა!

13 გავალები საქართველოში

ევროპაში სოფლის
მოსახლეობისთვის ახალი
საგრაციო აროგრამის
გაცემის მიზანის მიხევას

გადამოწვევის სფეროში
გამოიხატა ული ტარმინების
და განასაზღვრებების უსახე
სახელმწიფო სტაციარტი უდიდე
მოქმედებას!

**23 დედაქალაქში უკრძალე
გაზრდის საკითხისათვის**

**24 ასოთი ადამიანის მხრები
დას ძველები**

26 რა არის კომარსი

**30 დავის წარმოება
საქართველოში**

**33 საკვები კულტურების
მოვალე-მოყვანის აგრონომები**

**35 დიზი მეცნიერისა და
მართლიანობის გასევება**

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობი!

შურნალი ერთი კვადრატული საფილავო სარეპლიკ ფარმაციის
ფილატულია შაბაზების: შდის ენორ გვერდზე – 60 თეთრს (მთლიანი
გვერდი – 350 ლარი), პოლისტინია გვერდზე – 50 თეთრს (მთლიანი
გვერდი – 300 ლარი), გოლო გვერდზე – უკანა ყდაზე – 60 თეთრს
(მთლიანი გვერდი – 350 ლარი). შიდა გვერდებზე – 35 თეთრს (მთლიანი
გვერდი – 200 ლარი).

შურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რაფირირებაზე 2009
წლიდან. სამეცნიერო სტატიის მოცულობა რეზიუმეს თანხმებით არ
უდება აღებათამობებს 1,5 ინტერვალით, 12-იანი შრიფტით ცაპაზდ
გვერდს.

შურნალის გამოწვირი შეზიდულიათ არასი გამოცემის სააგრენტოებში:
„ელგაჟი“ (მიზ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „სამარშატ“ (0 (32) 2518518).

1 წლით შურნალის გამოწვირა დაგიჯდებათ 24 ლარი, 6 თებერ –
12 ლარი.

„სოფლის გაურცეობის განვითარების სტრატეგია“

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2014-2020 ნლების სტრატეგია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ფაოს (მსოფლიო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) თანამშრომლობით შეიქმნა. აღნიშნული დოკუმენტი 7 ძირითად მიმართულებას მოიცავს:

1. ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. დამატებითი ღირებულებების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
3. ინსტიტუციური განვითარება და ტრენინგები;
4. რეგიონული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება;
5. სასურსათო უსაფრთხოება;
6. სურსათის უვნებლობა;
7. გარემო და ბიომრავალფეროვნება.

ეს ის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ღონისძიებებია, რისმა განხორციელებამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართ-

ველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, ადგილობრივ ბაზარზე უცხოური პროდუქტის ხარისხის სამამულო ნაწარმით ჩანაცვლებას და ქართული პროდუქტის უცხოეთის ბაზარზე გასვლას.

მომავალი ექვსი წლის განმავლობაში ქვეყნის სოფლის მეურნეობა ამ სტრატეგიის მიხედვით განვითარდება.

აქვე აღსანიშნავია ისიც ითქვას, რომ საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ „კონკრეტული სტრატეგიის მიხედვით“ დარგის განვითარებას პირველად იწყებს.

ბუნებრივია, სტრატეგიის მიმართ შესაძლებელია გაჩნდეს კითხვები, შენიშვნები, მაგრამ ეს სამუშაო პროცესია, რისი გათვალისწინება და განვითარება ყოველთვის შეიძლება. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განახლებული დოკუმენტი განსახილველად საზოგადოებას წარედგინება.

06 გვ. გვ. 07



— სოფლის მეურნეობა მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ დარგის განვითარება კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაბირებებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. რა არის თქვენი გეგმები, როგორ აპირებთ სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას და რას შეცვლით სამინისტროში?

— პირველ რიგში, სამინისტროში საზოგადოებასთან კომუნიკაცია შეიცვლება და გაცილებით ინტენსიური იქნება. საზოგადოებას ზედმინევნით მივაწვდით ყველა იმ სიახლეს და პროექტების მიზნითარებას, რომელსაც სამინისტრო ახორციელებს. ბუნებრივია, ყველა დაპირება შესრულდება. მათი

დიდი ნაწილი კი შესრულების პროცესშია. გავითვალისწინებთ პრემიერის შენიშვნებს სამინისტროს მუშაობასთან დაკავშირებით და უზრუნველვყოფთ უფრო მაღალ ტემპს, უკეთეს კომუნიკაციას და იმ რიტმს, რომელიც მისთვის გაცილებით მისაღებია.

სოფლის მეურნეობა დარგობრივად არ იყო პოპულარული და დღესაც არ არის ის თავის სიმაღლეზე. ჩვენ აუცილებლად უზრუნველვყოფთ ამ დარგის პოპულარიზაციას. ცოტაარ იყოს, გაკვირვებას ინვენსის შეფასება, თითქოს ეს არ არის მნიშვნელოვანი სამინისტრო, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. მოგეხსენებათ, ჩვენ ვართ აგრარული ქვეყანა და ჩვენი სტრატეგიი ხელოვნუ-

საზოგადოებასთან კომუნიკაცია გააქტიურდება

სოფლის გაურცეობის სამინისტრო ერთადერთი უძევებაა, რომელსაც ახალი ხელისუფლების მოვლის შემდეგ უკვე მისამართი დაიდო. დავით არამიშვილი ამავე დროის განვითარების სტრატეგიის განახლებული დოკუმენტი განსახილველად საზოგადოებას წარედგინება.

რად ვერ შეიცვლება. ამიტომ ჩვენი მიზანია, ამ სტრატეგიის კიდევ უფრო გაძლიერება, ძლიერი სოფლის შექმნა, კოოპერაციების ტრადიციის დანერგვა და ყველაფრის გაკეთება, რაც გლეხის კეთილდღეობას გაზრდის.

— თქვენ ერთ-ერთ კომენტარში აღნიშნეთ, რომგავაგრძელებთ იმ კურსს, რომელიც ევროპასთან პარმონიზაციის კუთხით სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო. კონკრეტულად, რა სამუშაოების ჩატარებაა დაგევმიღი სოფლის მეურნეობის სამინისტროში ევროპასთან პარმონიზაციის მიმართულებით?

— ეს ძირითადად DCFTA-ს (ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომც-

ველი თავისუფალი ვაჭრობა) ეხება. ასოცირების დიდი წილი სახელმწიფოს ვალდებულებებისა და სტანდარტიზაციის ნაწილში სოფლის მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგზე მოდის, განსაკუთრებით სურსათის უვნებლობაზე. ამიტომ ჩვენ მთელი რიგ ღონისძიებებს ვვეგმავთ. ეს თემები დაძრულია და უკვე გეგმა გვაქვს განვითაროთ, თუ როგორ ვაპირებთ ამ ყველაფრის შესრულებას. ეს სწორედ ის ცვლილებებია, რომელიც ხელშესახები და თვალსაჩინო იქნება და საზოგადოება მაღლ შედეგს დაინახავს.

- სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რამდენიმე დღის წინ წარმოადგინა 2014-2020 ხლებში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია. ამ სტრატეგიის შესახებ რომ გვითხრათ და ძირითადი მიმართულებები გავაცნოთ?

- ამ სტრატეგიაში გათვალისწინებულია სამინისტროს ყველა მიმართულება, თუმცა ჩვენ სავარაუდოდ ამ სტრატეგიას გადავხედავთ და საზოგადოებას განახლებულ ვერსიას წარვუდგენთ.

რაც შეეხება ძირითად გეგმებს, ეს არის სტანდარტების დანერგვა, რაც მნიშვნელოვანია არა იმიტომ, რომ ეროვნული სამსახური არამედ იმისთვის, რომ ვიცოდეთ რასთან გვაქვს საქმე, როგორ სურსათს მივირთმევთ. აქ საუბარია ფერმიდან თევშამდე მთელ ამ პროცედურაზე. ასევე სამელიორაციი მიმართულებით არის მთელი რიგი ღონისძიებები დაგეგმილი, საგანმანათლებლო მიმართულებით. კომპერაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება. მედვინეობა ისედაც საკმაოდ წარმატებული დარგია და შესაბამისად, ამ დარგის კიდევ უფრო წასალისება მოხდება - ექსპორტის ხელშეწყობა, ქართული პროდუქტების პოპულარიზაცია და საერთაშორისო არენაზე ამ პროდუქტების წარმომწენა. რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი იგეგმება, წლის ბოლომდე გვექნება ახალი ლაბორატორიები.

- სოფლის მეურნეობის სამინისტროში მრავალი სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, მაგალითად, შეღავთიანი აგროკურებითი, სახიფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი სანარმოების თანადაფინანსების პროექტი, „ანარმო საქართველოში“, საქართველოს ინიციატივა და მინის განვითარების პროექტი. რა მდგომარეობა ამ პროექტების



განხორციელების კუთხით, რა რაოდენობის თანხაა ათვისებული და ხომ არ გეგმავთ ამ პროექტების მოდიფიკაციის ან სხვა ახალი პროექტების განხორციელებას?

- რამდენიმე მილიონია თითოეულად პროექტზე გამოყოფილი, თუმცა აქაც ალბათ იქნება კორექტიონება. ჩვენ გავაანალიზებთ წინა პერიოდს, თუ რა შედეგები გვაქვს და ამის მიხედვით განვსაზღვრავთ სამომავლო პროექტებს. არ არის გამორიცხული გარკვეული პროექტების კომპონენტები გადაიხდოს, გახდეს უფრო მოქნილი და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გლეხებისთვის. იცით, რომ დღეს ხშირად დგას უზრუნველყოფის პრობლემები - ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ ძალიან კარგი პროექტები მოიტანონ, მაგრამ არ აქვთ სამუალება უზრუნველყოფით დააქმაყოფილონ საბანეო მოთხოვნები. შესაბამისად, ეს არის გამოწვევა და ჩვენ ვეცდებით ხელი შევუწყით ამ პრობლემის მოგვარებას კომპონენტების მოდიფიკაციით, რათა რაც შეიძლება მეტი კარგი პროექტის დაფინანსირებით გამოიყოფოს მუშაობა.

- როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკრგულად ცხო ის ხორბა და დაუშეგვებად მიიჩნია მორატორიუმი, რომლის თანახმადაც უცხოელებებს ეკრანებით გამხდარიყვნებ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეები. როგორ უნდა გადაწყდეს აღნიშნული საკითხი ისე, რომ მისაღვევი იყოს როგორც ინვესტორისთვის, ასევე აღვიღობრივი მოსახლეობისთვის?

- ეს არის კიდევ ერთი გამოწვევა. ყველა ევროპული ქვეყანა იდგა ამ გამოწვევის წინაშე და ყველამ თავისებურად დაარეგულირა ეს საკითხი. რომ გითხრათ, არსებობს მზა კონცეფცია, რომლითაც ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ - ასე არ არის. ჩვენ უნდა მოვიფიქროთ ქართული კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს და ასევე თანხედრაშია იმ

ევროპულ მოთხოვნებთან, რომელიც აღიარებულია. მინა, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ფაქტიზი ძირითადი საშუალება, რისი წარმოებაც შეუძლებელია და საჭიროებს მოფრთხილებას. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და მორგებული უნდა იყოს ეროვნულ მოთხოვნებს. წარსულში ბევრი სავალალო მაგალითი გვაქვს მიწის მართვასთან დაკავშირებით და ამ შეცდომებზე შეგვიძლია ბევრი რამ ვისნავლოთ.

- სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის საექსპორტო ბაზრების მოძიება და ათვისება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. რა გეგმები გაქვთ, რომ ქართული პროდუქტების საექსპორტო ბაზრების გაფართოება მოხდეს და ამ კონტექსტში რა როლი აქვს რუსულ ბაზარს?

- რუსეთის ბაზარს რომ დიდი როლი აქვს, ეს უდავოა, თუმცა დივერსიფიკაცია ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ექსპორტს. ამიტომ ამ მიმართულებით დააწყებული გვაქვს მუშაობა. ვფიქრობთ რამდენიმე ქვეყანასთან საექსპორტო ბაზრებზე გასვლას, რომლებთანაც აქამდე არ გვქონდა თანამშრომლობა. ამ ეტაპზე შეგნებულად არ დავაკონკრეტებ, თუმცა არის საკმაოდ მიმზიდველი ბაზრები კარგი მსყიდველუნარიანობით და ვცდილობთ, მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში გავაფართოოთ ექსპორტის არეალი.

რაც შეეხება რუსეთის ბაზარს, ჩვენი მხრიდან უნდა დავიცვათ ყველა ის პირობა, რომელზეც შეთანხმებული ვართ. ჩამოსული იყო ფიტოსანიტართა ჯგუფი, რომელმაც ჩვენთან ერთად შემუშავა ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმი. ეს გახლავთ ერთგვარი სახელმძღვანელო და ეს მოთხოვნები უნდა დავიცვათ, რათა ჩვენი მიზანით რამე ტექნიკური ხარვეზის გამო პრობლემების არ შეგვექმნას. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, ექსპორტი იქნება ეს თუ იმპორტი, ნე-



ბისმიერ შემთხვევაში შეიძლება ემს-ხერპლოს პოლიტიკას. ვცდილობთ და მოტივირებული ვართ, მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ამ პროცესს და არ

მოხდეს ამ თემის პოლიტიზირება. უკვე ათასობით ტონა სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქტია გასული რუსეთის ბაზარზე. გასული კვირის მონაცემებით, რუსეთში 80%-ით არის გაზრდილი ექსპორტი. ჯერჯერობით საფრთხეს ვერ ვხედავთ, გვაქვს ძალიან ჯანსაღი ურთიერთობა და კომუნიკაცია რუსულ მხარესთან და ვცდილობთ მინიმუმადე და ვიყვანოთ ნებისმიერი რისკფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სავაჭრო ურთიერთობებს.

- როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აპირებს მის საკუთრებაში არსებული სანარმოების პრივატიზებას. რა ეტაპზეა ამ სანარმოების პრივატიზება?

- ამ ეტაპზე შევაჩერებ პრივატიზება, რადგან ვფიქრობ, რომ არ იყო ბოლომდე გააზრებული, რამდენად ექვემდებარებოდა გასხვისებას ეს ქონება და არ სჭირდება სახელმწიფოს, თუნდაც სტუდენტებისთვის, საცდელ მეურნეობად თუ სხვადახვა კვლევებისთვის. ამიტომ კარგად უნდა გავაანალიზოთ და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. ჩვენთან ახლად-შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელსაც დაევალა, შეისწავლოს ამ ობიექტების გაყიდვის ან შენარჩუნების აუცილებლობა და ნარმოადგინოს მისი ხედვა. ველოდებით დასკვნას და მისი შემდეგ ვიმსჯელებთ, რა შეიძლება გასხვისდეს ან არ გასხვისდეს.

ვიზუალურიანი



პირველი აგვისტოდან სურსათის ეტიკეტზე ტერმინების – „როგანელი“, „ეკო“, „ბიო“ გამოყენება აიკრძალა!

სურსათის ეროვნული სააგენტო შეასრულა შემდეგი საქართველოს მთავრობის №198 დადგენილება „პირველი მომავალის შესახებ“, რომლის თანახმად, დაუშვებელია მორიცხევის „ბიო“, „ეკო“, „როგანელი“ გამოყენება იმ სურსათის, „ცხოველის საკვების ეტიკეტზე/ნიშანდებაზე, რეპლიკაზე და კომერციულ ღორიზონტზე, რომელიც შეიცავს ან მიღებაში განხოლილი როგანზებისაგან და როგორის თარმოვბა არ ხდება პირველი მომავალის შესაბამისად.

„პიონარმოების შესახებ“ წესების მიზანია პიონრავალ-ფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენება, მომხმარებელთა ინტერესების დაცვა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; ასევე იმ მენარმის დაცვა, რომელიც ამ წესების შესაბამისად ანარმობებს პიოპროდუქტს (ან ისეთ პირველებს, რომლის ეტიკეტზე/ნიშანდებაში გამოყენებულია სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია – „ორგანული“, „ეკო“, „ბიო“, რათა სხვა პროდუქტს არ მიენიჭოს პიოპროდუქტის სტატუსი).

პიოპროდუქტიუნდა აკმაყოფილებდეს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით, პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით ან/და საერთაშორისო დარღვეული მოთხოვნებს.

წესები ვრცელდება პიოპროდუქტზე, რომელიც განთავსებულია ბაზარზე ან გამიზნულია ბაზარზე გასატანად და რომლის ნარმოებისა და დისტრიბუციის პირები, ინსპექტირებისა და სერტიფიკაციის პროცედუ-



რები შეესაბამება ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებს. ესენია: სურსათად განკუთვნილი პირველადი ნარმოების პროდუქტი, ცხოველის საკვები და პირველადი პროდუქტის გადამუშავებით/დამზადებით მიღებული სურსათი, მათ შორის: ლვინო; ცხოველის საკვები; საფუარი, რომელიც გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების ნარმოებაში.

ეს წესები არ ვრცელდება პირადი და ოჯახური მოხმარებისათვის განკუთვნილ ბიოპროდუქტის წარმოებაზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო შეასხენებს ბიზნესოპერატორებს, რომ სათანადო სერტიფიკატის უქონლობის შემთხვევაში ტერმინების – „ორგანული“, „ეკო“, „ბიო“ გამოყენება ნარმოადგენს ეტიკეტირების წესის დარღვევას, რაც 1 აგვისტოდან იწვევს მათ პასუხისმგებლობას და დაჯარიმებას პირველ ეტაპზე 400 ლარით, ხოლო ერთი წლის განმავლობაში იმავე პირის მიერ დარღვევის გამეორების შემთხვევაში – 1200 ლარით.

ალნიმული დადგენილების მიღება განაპირობებს მომხმარებელთა მაქსიმალურ ინფორმირებას, ქართული პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას, ბიოპროდუქციის მნარმოებელ ფერშერს კი მეტი შემოსავლის მიღების საშუალებას აძლევს.

სურსათის ეროვნული სააგენტო



6-ი გავანიავებთ საქართველოს მიწას!

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2012 წლის 26 ივნისს გა-
ათარა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღმაშენების გადაწყ-
ვეთილებაზე №3,,1.,5.512“, რომელითაც გაუძღვდა უამისოდაც უაღრესად არას-
რულყოფილ, სახელმწიფო, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა
უზუღვებელყოფილ „საქართველო-სამართლებრივ დანიშნულების მიწის საპუთ-
რის შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვე-
ბი უცხოელთა მიერ სასოფლო-სამართლებრივ მიწის შესიდვასა და საკუთ-
რებაზი ქონაზე.

ამით საქართველოს სასოფლო-სა-
მეურნეო მინა – ქართველი ერისა და
საქართველოს ყველა მოქალაქეს და
მათი შთამომავლობის საარსებო ბა-
ზა ან და მარადის – გატანილი აღმოჩ-
ნდა ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღე-
ობით საქართველოს საყოველთაო
გადატაკების ფონზე, მოსახლეობის
მთელი მასა არაკონკურენტულარია-
ნია საქართველოს მიწის მითვისების
აუარებელ უცხოელ მსურველთან
შედარებით. ამ ოპერაციის მიზანი
და მოტივაცია, ხელისუფალთა ანგა-
რების პარალელურად, სხვა არა იყო
რა, და სხვა ვერა იქნება რა, თუ არა
საქართველოს დემოგრაფიული დე-
ქართველიზაცია და მისი მინა-წყლის
ათვისება ახალი, გარედან მოყვანი-
ლი ან ბუნებრივად იმიგრირებული
მოსახლეობის მიერ. ეს შეუნიბრავად
ანტისახელმწიფოებრივი მანევრი
თავისი განხორციელების ფორმით
(სახელდობრ, არგუმენტაციის სიმუ-
ლაციით, რომელიც იურისპრუდენ-
ციისა და ზოგადად ჰუმანიტარული
ცოდნის სფეროში მიღებული მეც-
ნიერული ტერმინოლოგიით ოპერ-
იორებს), ექიმარებოდა ერთის მხრივ
სრულ არაინფორმირებულობას ამ
სფეროებში, მეორეს მხრივ კი ასევე

სრულ უცოდინარობას ან უცოდინ-
რობის სიმულაციას იმ მოვალეობათა
და ვალდებულებათა თაობაზე, რომ-
ლებიც აქვს სახელმწიფოს ადმინის-
ტრაციას თავისი ქვეყნის წინაშე და
არჩეულ ხელისუფლებას – ამომრჩე-
ველთა წინაშე. ამ უმეცრების დასამ-
ტკიცებლად ქვემოთ წარმოგიდგენთ
არგუმენტებს, რაც საკმარისია, რა-
თა ვამხილოთ საკონსტიტუციო სა-
სამართლოს ამ აქტის მიზანმიმარ-
თულად ანტისახელმწიფოებრივი,
პროფესიულად (დარგობრივად) არა-
კომპეტენტური, დანაშაულებრივად
დესტრუქციული ხასიათი.

საკონსტიტუციო სასამართლო გა-
დაწყვეტილების 42-ე პუნქტში მი-
უთითებს, რომ საქართველოს კონ-
სტიტუციის მე-2 თავი, რომელიც
საქართველოს მოქალაქეობასა და
ადამიანის ძირითად უფლება-თა-
ვისუფლებებს ეხება, უფლებათა
სუბიექტების განსაზღვრისას სხვა-
დასხვა ტერმინოლოგიას იყენებს.
კონსტიტუციის შესაბამის ნორმებში
ვხვდებით შემდეგ ფორმულირებებს:
„ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამი-
ანი“, „ყველი ადამიანი“, „მოქალა-
ქე“, „საქართველოს უსახელმწიფო ექსკლუ-
ზიურ წრეს“, მათ შორის – მოქალა-
ქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც
ზემოთ აღნიშნეთ, ეს ტერმინები არ
გამოიყენება 21-ე მუხლის მიმართ. ეს
იმას ნიშნავს, რომ ეს უფლება პირველ
რიგში მხოლოდ საქართველოს მოქა-
ლაქეებზე ვრცელდება, ხოლო გავ-
რცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე
და მოქალაქეობის არმქონე პირებზე,
ეს კანონმდებლმა კონსტიტუციური
ნორმით არ გადაწყვიტა, რომელიც

ამით კონსტიტუცია მიჯნავს უფლე-
ბებს, რომელთა სუბიექტიც მხოლოდ
საქართველოს მოქალაქეა, უფლებე-
ბისაგან, რომლებიც უნივერსალური
ბუნებისაა და „ყველაზე“ ვრცელდე-
ბა. აქედან გამომდინარე, საკონსტი-
ტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ
საქართველოს კონსტიტუციის 21-ე
მუხლით გათვალისწინებული უფლე-
ბა უნივერსალურია და იგი ეკუთვნის
ყველას.

ეს მსჯელობა მცდარია. ჯერ ერთი,
ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინები გა-
მოიყენება თითქმის ყველა მუხლში,
რომელიც ადამიანის ძირითად უფლე-
ბა-თავისუფლებას შექება, მაგრამ
არა – ყველაში. არის გამონაკლისი: 34
მუხლიდან სამი მუხლია, სადაც არც
ერთი ეს ტერმინი არ არის გამოყენე-
ბული. ასეთ გამონაკლის მიეკუთვნე-
ბა სწორედ 21-ე მუხლიც. უნდა დავე-
თანხმოთ სასამართლოს იმაში, რომ ის
მუხლები, სადაც ნახმარია ტერმინები
„ადამიანი“, „ყველა“, „ყველა ადამი-
ანი“, „ყველი ადამიანი“, „მოქალა-
ქე“, ეს უფლება ეკუთვნის ყველას და
კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღ-
ვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუ-
ზიურ წრეს, მათ შორის – მოქალა-
ქეობრივი ნიშნითაც. მაგრამ, როგორც
ზემოთ აღნიშნეთ, ეს ტერმინები არ
გამოიყენება 21-ე მუხლის მიმართ. ეს
იმას ნიშნავს, რომ ეს უფლება პირველ
რიგში მხოლოდ საქართველოს მოქა-
ლაქეებზე ვრცელდება, ხოლო გავ-
რცელდეს თუ არა იგი უცხოელებზე
და მოქალაქეობის არმქონე პირებზე,
ეს კანონმდებლმა კონსტიტუციური
ნორმით არ გადაწყვიტა, რომელიც



ამაზე დუმს. კანონმდებელმა უფლება დაიტოვა, სახელმწიფოს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, თოთოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ამ უფლების „ყველაზე“ გავრცელების საკითხი გადაწყვიტოს არა საკონსტიტუციო ნორმით, არამედ ორგანული ან მიმდინარე კანონმდებლობით. თვითონ საკონსტიტუციო სასამართლო (ვიმეორებთ კონსტიტუცია ამაზე დუმს) გადაწყვეტილების 68-ე პუნქტით იძულებულია აღიაროს, რომ სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის საკუთრების უფლების შინაარსს და ფარგლებს, თვითონ განსაზღვრავს.

მეორე, თუნდაც დავუშვათ, რომ ეს უფლება უნივერსალური ბუნებისაა და იგი „ყველაზე“ ვრცელდება, სადაც ნორმა არ არის არაკონსტიტუციური, რადგან ეს გამონაკლისი დაშვებულია, სახელდობრ, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო.

1. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილების 97-ე მუხლში, იშველიებს რა კონსტიტუციის მე-14 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის ნინაშე თანასწორია...“ ასკვნის, რომ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების დაცვის, უფლებით სარგებლობის ხარისხი საქართველოში მცხოვრები უცხოელისა და საქართველოს მოქალაქისათვის ერთნაირია. თანაც ამ დებულებას ამაგრებს კონსტიტუციის 47-ე მუხლით (ეს დასკვნა იურიდიული ნოსენსია. კანონის ნინაშე თანასწორობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ერთსა და იმავე იურიდიულ სიტუაციაში კანონმდებლობის განვითარების უფლებების და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში). კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

ეპყრობა, და არა იმას, რომ მათ ერთნაირად ეპყრობა სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, პეტრეს უფლებები უანდერძოდ გარდაცვლილი მამის სახლის მიმართ ვერ იქნება იგივე, რაც პავლესი ამავე სახლის მიმართ, და პირიქით. მოქალაქეობაც სიტუაციის ელემენტია და არა პიროვნებათა პრინციპული თანასწორობა-უთანასწორობისა. ეს დასკვნა ისეთივე აბსურდულია, როგორც მოთხოვნა: რატომ მიგყავარ ჯარში და არ მიგყავს ჩემი მეზობელი უცხო მოქლაქე? სადა ჩვენი თანასწორობა?)

უნდა ითქვას, რომ კანონის ნინაშე იურიდიული თანასწორობა არ ნიშნავს ფაქტობრივ თანასწორობას. კონსტიტუცია განამტკიცებს მხოლოდ იურიდიული თანასწორობის უფლებას. სახელმწიფოს მიზანი არ შეიძლება იყოს არსებულ ფაქტობრივ განსხვავებათა ტოტალური გათანაბრება, რაც უტოპიაა და რაც არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გონივრული მიზანი. კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, თანასწორობის სუბიექტია „ყველა“ ადამიანი, მაგრამ ეს მუხლი არ ეხება უცხოელების განსაკუთრებულ სტატუსს. უცხოელებისათვის დადგენილი ფაქტობრივი და, რაც მთავრია, სამართლებრივი შეზღუდვებიარენინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი ურთიერთობა შეიძლება განვიხილოთ თანასწორად ან უთანასწოროდ თუ ეს ურთიერთობები არის მსგავსი და ამგვარად იძლევა შედარების საშუალებას. ერთმანეთს შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მსგავსი ურთიერთობები და არა ყველა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით,

თანასწორად შეიძლება განვიხილოთ ის ადამიანები, რომლებიც მსგავს ვითარებაში იმყოფებიან. ბუნებრივია, რომ საქართველოს მოქალაქეები და უცხოელები და ასევე მოქალაქეობის არმქონე პირები არ იმყოფებიან თანაბარ მდგომარეობაში. კონსტიტუციის 27-ე მუხლით უცხოელებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს სახელმწიფომ შეუძლია დაუწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა, ხოლო 47-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციითა და კანონით, როგორც გამონაკლისი, შეუძლია შეუზღუდოს ნებისმიერი უფლება.

2. უსუსურია სასამართლოს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლთან დაკავშირებით. მისი აზრით, აღნიშნული ნორმა კონსტიტუციური უფლებების მოქმედებას ავრცელებს და ადგენს გარანტიას, რომ კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული კონსტიტუციური უფლებები საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, გარდა კონსტიტუციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მოსამართლებს რატომლაც „დავიწყდათ“, რომ ამ გამონაკლისის გათვალისწინება შეიძლება არა მარტო კონსტიტუციით, არამედ კანონითაც. ჩვენ შემთხვევაში სწორედ კანონით შეიზღუდა უცხოელების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს არა ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებები. კონსტიტუციის 47-ე მუხლი ადგენს არა ზოგადი ხასიათის თანასწორობას, თუმცა, უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირთა გარკვეული უფლებების დაადგინოს განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით. ამასთანავე, ამ განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის დადგენა შესაძლებელია როგორც კონსტიტუციით, ისე კანონითაც. ეს კარგად იციან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლებმა და ამიტომ დაასკვნეს, რომ სადაც ნორმები არ არის შეთავსებადი კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველ პუნქტთან და საქმის განხილვა იმ ნაილში, რომელიც ეხებოდა სადაც ნორმებით კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის საკითხს, შეწყვიტეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ეჭვს ბაქებს იმის თაობაზე, რომ, სამწუხაოდ, საკონსტიტუციო სასამართლოც, როგორც ეს საერთო სასამართლოებში ხდებოდა, გადაწყვეტილებებს იღებდა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მითითებითა და კარნახით.

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტი (2012, 01. 10) ვერ მიიღებდა იგივე შინაარსის გადაწყვეტილებას, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა. კანონმდებლობის შემუშავებისთვის პარლამენტმა (2013 წლის 26 ივნისი) უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება დროებით შეაჩერა. ფაქტობრივად, კანონმდებლომა დრო ითხოვა ახალი (და არა იგივე) რეგულაციის შესაქმნელად. ამასთან, მთავრობას ექვსი თვის ვადაში (2014 წლის 31.12-მდე) უნდა უზრუნველეყო:

- სასოფლო-სამეურნეო დაწიწნულების მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით;

- სასოფლო-სამეურნეო დაწიწნულების მიწის ფონდის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრა;

- სასოფლო-სამეურნეო დაწიწნულების მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების საჯარო სამართლებრივი მოწესრიგება;

- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დაწიწნულების მიწის კადასტრისა და მიწათმოწყვების ერთიანი სისტემის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

სამწუხაოდ, დღეისათვის ამ გადაწყვეტილების თითქმის არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული, რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფაქტობრივი მდგომარეობა გასული ხელისუფლების წყალობით „სამაგალითოდ“ იყო აღნერილი (2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის-მიწის ერთიანი ბალანსის (ანუ მიწის აღრიცხვის და კონტროლის) შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა), ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შემუშავების საშუალება საკონსტიტუციო სასა-

მართლომ პარლამენტს არ მისცა.

2014 წლის 14 ივნისს კი საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტია, რომ მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ნორმისა და პარლამენტის მიერ კვლავ მიღებული ახალი ნორმის შინაარსი იდენტური იყო, ერთი და იგივე მიზანს ემსახურებოდა და შესაბამისად, არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით, არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა სადაც მორატორიუმი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისაა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსის იდენტურობას ადგენს, სამართლებრივად სრული ნონსენსია. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: პირველი, გასხვისების აკრძალვის მიზანი მოცემულ საქმეებში ცალსახად სხვადასხვა იყო. თუ პირველ დავაში სახელმწიფო უკრძალავდა უცხოელების სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობას ქვეყნის ეკონომიკურ-სოცია-

ცის ზედმინევნით კარგადაა ცნობილი, რომ თუ კანონმდებელმა უმოკლეს ვადაში ვერ მიიღო ახალი რეგულაცია, ამას გამოუსწორებელი სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს (სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების ზომების გარეშე საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება).

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზრუნველყოფს ყველა ბერკეტით, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ძირითადი სიმდიდრის – მინის – შესანარჩუნებლად თავისი ერის ხელში.

მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკაში განუყოფლად გაბატონებულია მოცემული ქვეყნის მინის უცხოელებზე გაყიდვის შემზღვუდავი ნორმების გამოყენება – ზოგჯერ სრული აკრძალვაც. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყნაში მინაზე საკუთრება არამარტო არ წარმოადგენს აბსალუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამო-



ლური ინტერესიდან გამომდინარე, მეორე სადაც ნორმის მიზანი მხოლოდ ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შექმნა იყო, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფდა მიწის კადასტრისა და მიწათმოწყვების ერთიანი სისტემის ორგანიზებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. და მეორე, სასამართლოს შეუძლებელია ვერ დაენახა „ხანგრძლივობის“ განსხვავება უცხოეკვეყნის მოქალაქის მიერ მიწის ფლობის სამუდამოდ აკრძალვასა და მის მხოლოდ დროებით შეჩერებას შორის. შესაბამისად, არა მხოლოდ მიზანია სხვადასხვა ამ ორი ნორმისა, არამედ მათი მოქმედების ხანგრძლივობაც. საკონსტიტუციო სასამართლოსთ-

ყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. აშშ-ში, რომელიც დანარჩენ მსოფლიოსთან ყველაზე ახლო კონტაქტში მყოფი ერთ-ერთი ქვეყანაა, მიწის 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხოელებს.

მინა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამონურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური საკითხია მისი ფასი. მოსახლეობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე იწურება რესურსიც.

ამიტომაც მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა (აგსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ).

შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოელთა მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა: „იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელა, აკრძალული მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე სხვა ქონებრივი სიკეთების შემთხვევაში“.

საქართველოს მოსახლეობის გამოვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპირტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წეს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმიწოდებლის დღესდღეობით არ აქვს.

ამიტომაც შესაძლოა ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდ-

ვებით. ასეთი შეზღუდვა შეიძლება უცხო ქვეყნების პრაქტიკიდან გავითვალისწინოთ. მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს იმ ქვეყნებისა (ავსტრია, დანია), რომელთა მოქალაქეებმა მიმართეს სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) „კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (წ13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება. ხოლო თუ უცხოელს ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს,



ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ.

დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს პქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი, 24 ჰასაერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს პქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დანის იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

სახელმწიფოებრიოს პრინციპთან კონტრექსტში მიწის მაღალ რან-

გში აყვანა კანონმდებელს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების, საჯარო ინტერესის სასამართლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე შეუზღუდოს უცხოელს ამ სიკეთით სარგებლობის უფლება. სწორედ ამიტომაცაა, რომ სასოფლო მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონები პირებზე) გასხვისება დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით მხოლოდ შეზღუდული პირებისთვის.

ჯერჯერობით ჩვენ გვაქვს საშუალება შევარბილოთ დაშვებული შეცდომის შედეგი-ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც უშვებს უცხოელთა მიერ მიწის საკუთრებად ქონას, მაგრამ მხოლოდ გარკვეული შეზღუდვებით.

ამასთან, სასწრაფოდაა შესამუშავებელი და შესაქმნელი:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაცვის პოლიტიკა, რომელიც ქართულ, სოციალურ რეალობას და განვითარებულ ქვეყნების მდიდარ გამოცდილებას დაეყრდნობა;

- მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონი ან „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიტანოთ რიგი ცვლილებები, რომელშიც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის რეგულაციები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას;

- საქართველოს მთავრობასთან მიწის დაცვის ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას;

- მდლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირდული ყველა ფუნქცია დაეკისრება.

მათა მაღალაზოდი, პროფესორი; ზაურ ჯიანგილაშვილი, პროფესორი; არა ზორავარაზოდი, პროფესორი;



გვალვა საქართველოში

2014 წლის ზაფხული საქართველოში უჩვეულოდ გვალვიანი გამოდგა. გვალვამ თითოძის ზვალა რაგორც ში მოსავალს აროგლება შეუძნა. განსაკუთრებით გარცლეული კულტურიზი დაზიანდა, საფრთხე შევმნა ვაზსაც. ფორმირები შიშობენ, რომ თუ გვალვა პიდევ გამოძილდა, მოსავლის უდიდეს ნაცილს დაკარგავთ.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა კახეთში, სიღნაღმისა და დედოფლისწყაროს რაიონებში, სადაც გვალვამ ხორბლისა და ქერის ნათესებს დიდი ზიანი მიაყენა, მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა. ფერმერებმა ბევრგან ხორბლის ყანებში კომბაინიც კი ველაზე შეიყვანეს, რადგან მოსავალი პირნმინდად განადგურდა.

დანაკარგს ვერც სხვა კულტურები გადაურჩა. მასობრივად დაზიანდა მზესუმზირა, დიდ ფართობებზე სიმინდი, საზამთრო და პომიდორიც.

კარგად არც მეცხოველებს აქვთ საქმე, როგორც „პან. გე“-სთან საუბარში საქართველოს მეცხვარეთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ბეჭა გონიაშვილი აღნიშნავს: – მეცხვარების უმთავრესი სატკივარი და საფიქრალი საკვების ნაკლებობაა, გვალვიანმა ზაფხულმა ბალახი სულ გაახმო და პირუტყვისათვის საკმარისა საკვები არ გვექნება. ასევე არ არის საფურაჟე ხორბალი და ქერი. ზოგიერთ ნაკვეთში ფერმერებმა კომბაინიც კი ვერ შეიყვანეს რადგან ასაღები მოსავალი იმდენად მცირე იყო, რომ კომბაინის ხარჯსაც ვერ დაფარავდა. ამ მხრივ ძალიან რთული მდგომარეობაა, რასაც საკვების ფასიც ადასტურებს: შარშან, მოსავლის აღებისას ხორბალი და ქერი 30-40 თეთრი ლირდა, ნელს კი უკვე 50 თეთრი და მეტი ლირის. ძალიან ძვირია თივაც. ველაპარაკე დმანისელ ფერმერებს და მათ მითხრეს, რომ თივის ერთი შეკვრა, რომელიც საშუალოდ 15 კილოგრამს იწონის, 5 ლარი ლირს, ამას ტრანსპორტირების ხარჯიც ემატება და მისა ფასი 7 ლარამდე ადის. მთავარი უბედურება კი ის არის, რომ ხალხს დასათესიც არაფერი აქვს, რომ პირუტყვისათვის საკვები მომავალ ნელს მანიც გვქონდეს. საბედნიეროდ, ახლა ცხვარი მთაშია და პრობლემა ასე მწვავედ არ დგას, მაგრამ დრო მალე გადის, ბარში რომ ჩამოვლენ, ბალახი არ დახვდებათ და მომავალი ზამთარი ძალიან მძიმე, უფრო მეტიც – კატასტროფული იქნება. როდესაც ბალახი არ არის, ცხვარსაც და სხვა ოთხფეხსაც დამატებითი საკვები უნდა მისცე – ქერი და ხორბალი, რომ ცხვარმა საკვების ნაკლებობა გადაიტანოს. საკვებზე მოთხოვნა უკვე ძალიან გაიზარდა,

ფასიც მოიმატებს და შესაბამისად, ბევრ მეცხვარეს მოუნევს ცხვრის გაყიდვა, რომ ფარის ნაწილი მაინც დაიტოვს და მათი გამოკვება შეძლოს.

– იმ რაიონებს, კერძოდ, დედოფლისწყაროს, საგარეჯოსა და სიღნაღმის რაიონებს, სადაც ასეთი მდგომარეობაა, სახელმწიფო გადასახადების შემცირებით ან გადავადებით უნდა მიეშველოს. ასევე კარგი იქნება საოცხლე მასალის მიწოდება ან პირობით მიცემა. გასულ წელს ბევრმა ფერმერმა აიღო ბანკის სესხი, ალბათ ისინი ველაზე შეძლებენ ამ ვალების გასტუმრებას. ძალიან რთული მდგომარეობაა და მიკვირს, რატომ დუშმა ამაზე ან მედია, ან საზოგადოება?! სახელმწიფო, კონკრეტული მინისტრი ან მოადგილე ერთბაშად ვერაფერს შეცვლის, რადგან ყველამ ვიცით, რომ ქვეყანაში გაუდაბნოების პროცესი მიმდინარეობს. რა შელავათებს დააწესებს სახელმწიფო, ეს ჩემი ან თქვენი გადასასწყვეტი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დარგში უფრო კომპლექსური მიდგომაა საჭირო. გათვლა არ უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რა მოხდება წელს ან მომავალ წელს. გათვლა უნდა კეთდებოდეს 5-10-წლიან პერიოდზე. ქვეყანაში პირუტყვის საკვების ნარმობება უნდა აღდგეს და გაძლიერდეს. როცა ქვეყანაში საკვები დიდი რაოდენობით გაქვს, ის შეიძლება ექსპორტზეც გაიტანო, მაგრამ როცა ცოტა გაქვს, ამის გამოსწორება საკმაოდ რთულია. კერძო ბიზნესი უნდა იყოს იმდენად ძლიერი, რომ სახელმწიფოს ჩარევა არ დასჭირდეს, მაგრამ ეს მხოლოდ კომპლექსური მიდგომის შედეგად მიიღწევა. ამგვარი მიდგომა საჭირო და აუცილებელია ნებისმიერი დარგის განვითარებისათვის. სახელმწიფომ უნდა გააკეთოს ის, რაც ქვეყანას და დარგს სჭირდება. გვალვა მომავალ წელსაც რომ იყოს, რა გვეშველება? რით უნდა ვებრძოლოთ მას?

– საკვების ნაკლებობა მთელ მესაქონლეობას შეეხება. ბალახი არ არის, შესაბამისად, არც დამატებითი საკვების მარაგი გვექნება. ადვილი მისახვედრია, რომ საკვების ნაკლებობის გამო მთლიანად დარგში შეიქმნება პრობლემები.

მოსახლეობის ინფორმაციით, იმერეთსა და გურიაში ერთწლიანი კულტურები განადგურების პირასაა. მოსალოდნელია, რომ მოსავალი სერიიზულად შემცირდეს. ახალი მოსავლის მიღებამდე სიმინდის დეფიციტი რეგიონებში უკვე იგრძნობა.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, გლობალური დათბობის შედეგად ვითარება კიდევ უფრო გართულდება, ამიტომ სახელმწიფომ სარწყავი სისტემების განვითარებაზე მეტი ფული და ენერგია უნდა დახარჯოს.



საქართველოში მეორე წელიწადია აქტიურად მიმდინარეობს სარწყავი სისტემების აღდგენა, თუმცა ეს, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო დედოფლის წყაროს რაიონში დალის მთის წყაროს წყალსაცავის რეაბილიტაციის გეგმავს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის დირექტორთან ვაჟა კირტავასთან და „Dahl Consultants“-ის ხელმძღვანელთან ვეინ დალთან ერთად დალის მთის წყალსაცავის რეაბილიტაციის პროექტი განიხილა. ეს ერთ-ერთი დიდი წყალსაცავია საქართველოში, რომლის ამოქმედების შემთხვევაში შორაქისა და ტარიბანის ველებზე 20 000 ჰექტარი სავარგული გასარწყავიანდება, რაც ქვეყნის სამართლებრივი სამინისტრო დალის დიდი სიკეთე იქნება.

ევროპა სახართველოსთვის

ევროპა ვაჭირი სოფლის მოსახლეობისთვის ახალი საგრანტო პროგრამის ახალი არმობრივი დანერგვის განვითარების განვითარების აღმოჩენას განხორციელება



ევროპა ვაჭირი სოფლის მოსახლეობისთვის ახალ საგრანტო პროგრამას იცხაპს. ევროპა სამხარებლო პროგრამა სოფლის მოსახლეობისა და სოფლის განვითარებისთვის – ENPARD-ის ფარგლებში დაცინასახას მიმდინარებს ის, ვისაც სოფლის მოსახლეობის აღმოჩენა აღმოხატული ეპონომიკური საძმიანობის დაწევა აუსახურს.

ENPARD-ის პროგრამის ახალი ეთაპის შესახებ WWW.EUGEORGIA.INFO-ს კონვენციით სახართველოში ევროპა ვაჭირის ცარმომადებლობის სურსათის უვეგლობისა და სოფლის განვითარების ატაზის ხუან ეჩა-ნოვეს ესაუგრა.

როგორც ბატონი ხუანი ამბობს – ეს არ არის ახალი პროგრამა. ENPARD-ის პროგრამა აქამდეც არსებობდა, რომლის ფარგლებში 40 მლნ. ევრო უკვე დაიხარჯა. ახლა დამატებით კი-დევ 12 მლნ ევრო გამოიყო.

რომელ პროგრამებს მოხმარდება ეს თანხა?

– 12 მლნ ევრო ძირითადად სამი მიმართულებით დაიხარჯება. ეს მიმართულებებია: სოფლის განვითარების ხელშეწყობა, კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და საბიუჯეტო დახმარება.

სოფლის განვითარების პროგრამისთვის 3 მლნ ევრო გამოიყოფა, კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობისთვის – 2,5 მლნ ევრო, საბიუჯეტო დახმარებისთვის კი – 6 მლნ ევრო.

საბიუჯეტო დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილ ამ თანხას საქართველო 2016 წელს მიიღებს. ამ პროგრამის ფარგლებში 6 მლნ ევროს ოდენობის დახმარება საქართველოს

მთავრობამ წელსაც მიიღო, მომავალ წელს კი 8 მლნ ევროთი დავეხმარებით. საბიუჯეტო დახმარებისთვის გამოყოფილი თანხა პირდაპირ ბიუჯეტში გადაირიცხება, მაგრამ ეს არ არის საჩუქარი. ამ თანხას მთავრობა მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს შეასრულებს. ამ შემთხვევაში ნინაპირობა ფერმერთა საკონსულტაციო სამსახურის სისტემის შექმნაა. 2016 წლისთვის ეს სასტემა უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს. ნინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ახალ ტრანშს უერ მიიღებს.

– რას გულისხმობს სოფლის განვითარების პროგრამა?

– ეს სრულიად ახალი კომპონენტია. ეს არ არის ის, რაც საქართველოში კარგად ესმით. ევროკავშირში სოფლის განვითარება სამ კომპონენტს მოიცავს: აგრარული ნარმოების განვითარებას, აგრარული ნარმოების ალტერნატიული ეკონომიკური სამუ-

ალებების განვითარებას და გარემოს დაცვას. საქართველოც ამ გზით უნდა წავიდეს. ამას ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაც მოითხოვს. რათქმა უნდა, საქართველოში ბევრი ისე-თი პროექტი ხორციელდება, რომელიც აგრარული ნარმოების, ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობების განვითარებასა და გარემოს დაცვაზეა ორიენტირებული. ახალი პროგრამის სიახლე არის ის, რომ მასში ეს სამივე კომპონენტი ინტეგრირებულია.

ამ პროგრამის განხორციელების მიზნით სავარაუდო ზაფხულის ბოლოს გამოვაცხადებთ ტენდერს, რომელიც გამიზნული იქნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თვის. ეს იქნება საპილოტე პროგრამა,

რომელიც საქართველოს სამ რაიონში განხორციელდება. რაიონები ჯერ არ არის შერჩეული. საპილოტე პროექტის დასრულების შემდეგ დაიწყება ახალი პროგრამა – ENPARD-2, რომელიც ბევრად უფრო მასშტაბური იქნება და მთელ საქართველოს მოიცავს.

– რა იქნება ამ პროგრამის პრიორიტეტი?

– როცა ვსაუბრობთ სოფლის განვითარებაზე, უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს არის აგრარული წარმოების განვითარება. ეს ასე არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სოფლიად მცხოვრებ მოსახლეობას ალტერნატიული დასაქმების საშუალება ჰქონდეს. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. ამჟამად საქართველოს სოფლებში აგრარული სფეროს გარდა მოსახლეობის დასაქმების სხვა საშუალება არ არსებობს. მე ხშირად მომყავს ეს მაგალითი: ზოგიერთ სოფელში მაღაზიაც კი არ არის. ადამიანებს არ აქვთ ნაღდი ფული, რომ რაიმე იყიდონ.

– აგრარული წარმოების აღტერნატიულ რომელ ეკონომიკურ საქმიანობებზე შეიძლება ვისაუბროთ?

– ეს შეიძლება იყოს მომსახურების სერვისი. ბევრ სოფელში არ არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთების საშუალება. ასევე არის ისეთი მიმართულებები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. მაგალითად, აგროტურიზმი. საქართველოს მოსახლეობის 50% სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული. ეს ადამიანთა ძალიან დიდი რაოდენობაა. ადრე თუ გვიან აგრარულ სფეროში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა უნდა შემცირდეს. ეს არის სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის ერთადერთი გზა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანი, რომელიც აგრარულ სფეროში საქმიანობას შეწყვეტს, საცხოვრებლად ქალაქში გადავა. ჩემს სამშობლოში, ესპანეთში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 5%, მაგრამ სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 40%. საფრანგეთში აგრარულ სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 3% მაშინ, როცა სოფლად მოსახლეობის 40% ცხოვრობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმ პოლიტიკაზე, რომელსაც სახელმწიფო განახორციელებს. საქართველოში, ისევე როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, სოფლად

მცხოვრებ მოსახლეობას უნდა ჰქონდეს არასასოფლო-სამეურნეო სექტორში მუშაობის შესაძლებლობა.

– საბილოტე პროექტში მონაბილეობის შილების უფლება ვის ექნება, ოჯახურ მეურნეობას თუ სათემოორგანიზაციას?

– ტენდერის მეშვეობით გამოვლინდებიან ის ორგანიზაციები, რომლებიც გრანტების გაცემაზე იმუშავებენ. ეს არ იქნება მხოლოდ ოჯახურ მეურ-

თი პროგრამის განხორციელება, რომ სოფელი თანმიმდევრულად განვითარდეს.

თუ ჩვენ ვსაუბრობთ საქართველოს ეკროკავშირთან დაახლოებაზე, ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს ძალიან კარგ მოდელს. შესაძლებელია, რომ სოფლად გქონდეს ძალიან კარგი ცხოვრება ისე, რომ არ იყო ჩართული სოფლის მეურნეობაში. ევროპა არ არის მხოლოდ ისეთი ლამაზი ქა-



ნებებზე გამოყოფილი გრანტები. მაგალითად, სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა შეიძლება გადაწყვიტონ, რომ მათ ურჩევნიათ რაიმე ხელობის შესწავლა ან აგროტურიზმში დასაქმება და ამისთვის ტრენინგი სჭირდებათ. შესაძლოა, მათთვის უფრო პრიორიტეტული იყოს ტურისტული მარშრუტების გაკეთება და იქ გზების მოწყობა, რადგან თუ იქ ტურისტები მივლენ, ხალხიც დასაქმდება. ევროპაში ასეთი პროექტები ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების მეშვეობით ხორციელდება. ამ ჯგუფებში შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები. მათ შესაძლოა სხვადასხვა ინიციატივები წარმოადგინონ. გვინდა, რომ განსხვავებული იდეები ვიზიონთ. ამიტომ არის ეს საპილოტე პროექტი. დაახლოებით ასეთი იყო სოფლის განვითარების პროგრამა. ეს კარგი პროგრამა იყო. მან სოფელი გააძლიერა, მაგრამ ეს არ იყო გრძელვადიანი და თანმიმდევრული პროგრამა. მაგალითად, შეიძლებოდა სოფელს ეთქვა, რომ სასაფლაოს კედლის შეკეთება სჭირდებოდა და ამას აკეთებდა. არ ვამბობ, რომ ეს ცუდია, მაგრამ ეს იმას ჰგავს, მტირალ ბავშვს კანფეტს რომ აძლევენ. ეს იყო კარგი საწყისი იმისთვის, რომ სოფელს თვითორგანიზება მოეხდინა. ახლა საჭიროა ისე-

ლაქები, როგორებიცაა რომი და პარიზი. ნებისმიერ პატარა სოფელშიც კი ღირსეული ცხოვრების პირობებია.

– რა კრიტერიუმებზე იქნება დამოკიდებული გრანტის მოცულობა?

– ეს ახლა უნდა განვისაზღვროთ. არის გარკვეული პრინციპები, რომლებიც უნდა დავიცვათ. გრანტის მიმღები ვალდებული იქნება, რომ თანადაფინანსებაში მიიღოს მონაწილეობა. ეს სქემა ადაპტირებული უნდა იყოს კონკრეტულ რაონთან, რადგან ყველა რაიონში გასხვავებული პირობები და რეალობა. გრანტის გაცემის მთავარი პრინციპი იქნება ბიზნესგეგმის არსებობა: ნებისმიერი საქმიანობა ბიზნესგეგმას უნდა ეფუძნებოდეს და ეს გეგმა ეკონომიკურად მდგრადი უნდა იყოს. შესაძლოა, ვიღაცას მოსწონდეს რუსთავის გარეუბანში ეკოტურისტული კურორტის შექმნის იდეა, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი პროექტი გრანტის გამცემის დიდ დაინტერესებას არ გამოიწვევს.

– როდის შეირჩევა საბილოტე პროექტისთვის რაიონები და პრიორიტეტები?

– ჩვენი ფოკუსი იქნება იმ ადგილებზე, სადაც ეკონომიკური სირთულეებია. პროგრამას ექნება ორი წინაპირობა. 1. ის აუცილებლად უნდა განხორციელდეს სოფელში. 2. იმ ადგილზე, სადაც ეს პროგრამა განხორ-

ციელდება, აგრარული წარმოება არ უნდა იყოს ეკონომიკური საქმიანო- ბის ერთადერთი შესაძლებლობა.

ჩვენი სურვილია, რომ ამ პროგრა- მებს საქართველოს ხელისუფლებამ თვალი ძალიან აქტიურად მიადევნოს. საქართველოში პრობლემა არის ის, რომ არ არსებობს სოფლის განვითა- რების სამინისტრო. არსებობს რეგი- ონული განვითარების სამინისტრო, მაგრამ ის ანესრიგებს რეგიონებს შორის დამაკავშირებელ ინფრასტ- რუქტურას და არა სოფლისთვის სა- ჭირო ინფრასტრუქტურას. არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო, მაგრამ ის ფოკუსირე- ბულია სოფლის მეურნეობის განვი- თარებაზე. სამინისტრო ყურადღებას აქცევს იმ რეგიონებს, სადაც სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძ- ლებლობა არსებობს. არსებობს გა- რემოს დაცვის სამინისტრო, რომლის მანდატიც გარემოს დაცვაა. სამიცე სამინისტროს განსხვავებული პრიო- რიტეტები აქვს. სოფლის მოსახლეო- ბას სჭირდება სოფლის მეურნეობაც, ინფრასტრუქტურაც და გარემოს დაცვაც. რაც მთავარია, ამ პოლიტი- კაში დაცული უნდა იყოს ბალანსი. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ცალკე აღებული სოფლის მეურნე- ობის სამინისტრო აღარ არსებობს. არის სამინისტრო, რომელიც პასუხებს სოფლის მეურნეობაზეც, სოფ- ლის ინფრასტრუქტურის განვითარე- ბაზეც და გარემოს დაცვაზეც, ყველა იმ საკითხზე, რომელიც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ძალი- ან მნიშვნელოვანია.

- როდის დაინტება სოფლის განვი- თარების პროგრამის პროექტები?

- პროექტები სავარაუდო 2015 წლის იანვარში დაინტება. ეს პროექ- ტი გაგრძელდება 2 წელი. ამჯერად ამ პროგრამასთან მიმართებით დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, რად- გან ეს საპილოტე პროგრამაა. ჩვენთ- ვის ეს ტესტია. ENPARD-2-ის დროს

ეს პროგრამა ბევრად უფრო მასშტა- ბური გახდება.

- რა საქმიანობებს განახორციე- ლებს კომპერატივების განვითარე- ბის ხელშეწყობის პროგრამა?

- კომპერატივების განვითარების სააგენტოს ჩვენ ყოველთვის ვებმა- რებით. გრანტების მეშვეობით ხელს ვუწყობთ ახალი კომპერატივების ჩამოყალიბებასაც. ეს მიმართულება ჩვენი ადრინდელი საქმიანობის გაგ- რძელებაა. ახლა ჩვენ დავხმარებით კომპერატივების განვითარების სა- აგენტოს იმისთვის, რომ მათ ტრე- ნინგების დახმარებით ხელი შეუწყონ კომპერატივების ჩამოყალიბებას. ტრენინგების მეშვეობით ისინი მიი- ღებინ ახალ ცოდნას ბიზნესის ნარ- მოების, მენეჯმენტის და საგადასა- ხადო საკითხების შესახებ. ეს იქნება დახმარება იმისთვის, რომ კომპერა- ტივების ნარმომადგენლებმა უკეთ ისწავლონ ბიზნესის ნარმოება. გარ- და ამისა, ამ გრანტის მთავარი მიზა- ნია კომპერატივების განვითარების სააგენტოს შესაძლებლობების გაძ- ლიერება და მისი ეფექტურ უწყებად ჩამოყალიბება.

პროგრამის ამ ნაწილს ჩვენ განვა- ხორციელებთ ტენდერის მეშვეობით, რომელიც სექტემბერში გამოცხად- დება. გვინდა, რომ ამ მიზნით სა- ქართველოში რომელიმე ევროპული ქვეყნიდან კომპერატივების განვი- თარების სააგენტოს მსგავსი ორგა- ნიზაციი შემოვიყენოთ და მათ „თვი- ნინგის“ ანუ დამმობილების პროგრა- მის ფარგლებში ერთად იმუშაონ.

კომპერატივების განვითარების პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავს: შესაძლებლობების გაძლიერებას, სწა- ვლებას და ინვესტირებას. მთავარი კრიტერიუმი ამ შემთხვევაშიც ბიზნეს- გეგმის არსებობა იქნება. ყურადღებას მივაქცევთ წინასტორიასაც. კომპე- რატივის გარკვეული ეკონომიკური საქ- მიანობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს უკვე განსხორციელებული.

ინვესტირება გულისხმობს ინფრას- ტრუქტურის ან ტექნიკური აღჭურვი- ლობის შეძენაში დახმარებას, ოლონდ თანადაფინანსების პრინციპით. გრან- ტის მთლიანი თანხის 20% კომპერა- ტივმა თვითონ უნდა მოიძიოს. ეს მნიშ- ვნელოვანია იმისთვის, რომ ვიცოდეთ, ვის აქვს ნამდვილი ბიზნესმიდგომა. ავილოთ ასეთი მაგალითი: შესაძლოა, კომპერატივის სჭირდება მაცივარი, რომელიც 20 000 ევრო ღირს. ეს ძა- ლიან მნიშვნელოვანი ინვესტიციაა, რომელმაც კომპერატივში გაერთია- ნებული 10 ფერმერის ცხოვრება, შე- საძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს. კომპერატივისთვის 20 000 ევროს გა- დახმარება დაცვილი არ არის. 20 000 ევროს 20% არის 4000 ევრო. რადგან კომპე- რატივში 10 ფერმერია, ე.ი თითოეულ მათგანს 400 ევროს დადება მოუწევს. ყველა ფერმერს შეუძლია 400 ევროს მოძიება. შესაძლოა, ამისთვის მას ძროხის გაყიდვაც მოუხდეს, მაგრამ სამაგიროდ ეს გახდება მისი მეურნე- ობის განვითარების ნაწილი.

- რას ნიშანს შესაძლებლობების განვითარება?

- დაცუბრუნდეთ ჩვენს 10-ფერმე- რიან კომპერატივს. ამ შემთხვევა- ში ეს იქნება მაცივრის გამოყენების სწავლება. პროგრამა დახმარება მათ ბიზნესგეგმის შედგენის სწავლე- ბაში, ბუღალტერიის ორგანიზებაში, საგადასახადო, საორგანიზაციო სა- კითხების და მარკეტინგის სწავლე- ბაში. პრინციპში, ჩვენ ხელს ვუწყობთ კომპანიის ჩამოყალიბებას. კომპერა- ტივი არის კომპანია.

- გრანტის მიმღების ფინანსური თა- ნამონანილება აუცილებელი იქნება?

- ევროკავშირის პროგრამებში ეს სტანდარტული მოთხოვნაა - გრან- ტის მთლიანი თანხის 20% გრანტის მიმღება უნდა მოიძიოს. არ გვინდა ხელი შევუწყობთ ზარმაც ადამიანებს, რომლებსაც ადგილად ხელმისაწვდო- მი თანხით სარგებლობა სურთ.

განარგების განვითარების ფინანსური



მედვინეობის სფეროში გამოყენებული ტერმინებისა და განმარტვებების შესახებ სახელმწიფო სტაციარტი უდია მოქმედებას!

1998 წელს მიღებულ საქართველოს კანონი „ვაზისა და ლოინის შესახებ“ მოყვანილი მედვინეობის პროცესის თარიღით და განმარტივები არ შემსაჩამება არც ევროპაუზირის და არც სხვა როგორიც ავევნის კანონის განვითარებულობას და მდგრადია. გაგალითად, პრეცედის საქართველოს კანონი მოყვანილი განმარტება ანინა მიღებულ რეგლამენტებს. კარძოდ, საქართველოს კანონი „ვაზისა და ლოინის შესახებ“ აიძულებს მინარებს ანარმონს მაღალხარის-ხოვანი პროცესში (კრიტიკი) და მისცეს მას დაგანვითარისხოვანი პროცესში – პრეცედის დასახელდება. კანონი უკრძალავ მინარებს ანარმონს პრეცედი იმ ტაქტიკური მიზანით, რომელიც აღიარება ულია ევროპაუზირის მიღებული და ამით ხელს უჭირს საქართველოში ალექსანდრე სახელმწიფოს ცარმოების სფეროში თავისუფალი მინარებისა და კონკრეტური მინარების განვითარებას.

დაუსაბუთებელი და ამდენად უსაფუძვლო კანონში მოყვანილი ყურძნის არყის განმარტება; არომატიზებული ღვინის კანონში მოყვანილი განმარტება ასევე არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს და ა.შ. (დაწვრილებით იხ. „შესწორებები საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ““. უ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2013, №3. გვ. 64-69).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ მეცნიერულად დაუსაბუთებელი და პრაქტიკულად გაუმართლებელი განმარტებების არსებობა ხელს უშლის საქართველოში მენარმების განვითარებას და ამით წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან.

ჩვენ შემოვდივართ წინადადებით, შესაბამისი საჯარო განხილვის შედეგ, მიღებულ იქნას სახელმწიფო სტანდარტი მეღვინეობის სფეროში გამოსაყენებელი ტერმინებისა და განმარტებების შესახებ. რაც შეეხება საქართველოს კანონს „ვაზისა და ღვინის შესახებ“, ამ კანონიდან ამოღებულ უნდა იქნას მე-11 თავი, რომელიც ეხება ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებს, რადგანაც ამ სფეროსთან დაკავშირებით კანონში არსებული ყველა თავი თუ მუხლი და მასთან დაკავშირებული ტერმინები და განმარტებები მცდარია. კანონი, როგორც ეს მისი



დასახელებიდანაც ჩანს, უნდა ესებოდეს მხოლოდ ვაზისა და ღვინოს.

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეღვინეობის პროდუქციის სახეორცო სხვა საექსპორტო პროდუქციის ტერმინებისა და განმარტებების შესაბამისობაში მოყვანა იმპორტიორი ქვეყნების კანონმდებლობებთან. მხედველობაში ვიღებთ რა იმ უდავო ფაქტს, რომ რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პოტენციურ იმპორტიორ ქვეყანას საქართველოს მეღვინეობის პროდუქციისათვის, ჩვენ გავითვალისწინეთ ამ ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო სტანდარტებში არ-

სებული ტერმინები და განმარტებები, მით უფრო, რომ რუსეთის კანონმდებლობა მაქსიმალურად ითვალისწინებს ამ სფეროში არსებულ ევროკავშირის მოთხოვნებს.

ქვემოთ მოყვანილი ძირითადი ტერმინები და განმარტებები შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, რომელიც ადგენერ მეღვინეობის ერთიანი ბაზრის ორგანიზაციის (1493/99, 17.05.99), არომატიზირებული ღვინოების განსაზღვრის, აღნიშვნისა და გაფორმების საერთო წესებს (№ 1601/91, 10.06.91), მაგარი სასმელების განსაზღვრის, აღნიშვნისა და გაფორმების საერთო მოთხოვნებს (№ 1576/89, 29.05.89).

მეუღლეობის პროცესი, ცენტრული და ნახევარზაპრიკატები. ტერმინები და განმარტებები

1. მეუღლეობის პროცესი	<p>ალკოჰოლიანი პროდუქტი, დამზადებული ყურძნის მარცვლების ან ხილის მთელი ან დაქუცმაცებული ნაყოფების ან მათი ტკბილის სრული დადუღებით; მათი გადადენით, შემდგომი დავარგებით ან დავარგების გარეშე.</p> <p>ყურძნის მარცვლების, ხილის ნედლეულის ან მათი ტკბილის სრული ან არასრული ალკოჰოლი დუღილით, საკვები ნედლეულიდან მიღებული რექტიფიცირებული ეთილის სპირტის, ღვინის, ყურძნის ან ხილის სპირტების, ღვინის, ყურძნის ან ხილის დისტილატების, შაქარშემცველი ნივთიერებების, ნატურალური ან ნატურალური იდენტური საკვები არომატიზატორების, ნახშირბადის ორჟანგის დამატებით ან დამატების გარეშე.</p>
1.1. ღვინო	<p>მეღვინეობის პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურძნის ტკბილის სპირტული დუღილის შედეგად.</p>
1.1.1. სუფრის ღვინო	<p>მეღვინეობის პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურძნის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუღილის შედეგად. ღვინოში ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 9,0-15,0%.</p>
1.1.1.ა. სუფრის მშრალი ღვინო	<p>ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურძნის ტკბილის სრული სპირტული დადუღებით დამზადებული ღვინო.</p>
1.1.1.ბ. სუფრის ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოები	<p>ღვინოები, დამზადებული ალკოჰოლური დუღილის შეწყვეტითი ნარჩენი შაქრიანობის მოთხოვნილ მნიშვნელობაზე ან მშრალი ღვინომასალის ყურძნის ტკბილთან, კონცენტრირებულ ყურძნის ტკბილთან ან რექტიფიცირებულ კონცენტრირებულ ყურძნის ტკბილთან შერევით.</p>
1.1.2 ლიქიორული ღვინო	<p>მზადდება: მხოლოდ ყურძნისეული ნარმოშობის ეთილის სპირტის გამოყენებით. ეთილის სპირტის შეძენილი მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 და არაუმეტეს 22%. ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი – არანაკლებ 17,5%, ზოგიერთი ადგილწარმომბის დასახელების მაღალხარისხოვანი ლიქიორული ღვინოების გარდა.</p> <p>მიიღება:</p> <ul style="list-style-type: none"> – ან ყურძნის ტკბილისაგან, მისი დადუღების პროცესში, – ან ღვინისაგან, – ან აღნიშნული პროდუქტების ნარევისაგან. <p>ემატება:</p> <ul style="list-style-type: none"> – ყურძნისეული ნარმოშობის ნეიტრალური სპირტი, რომლის შეძენილი მოცულობითი წილი შეადგენს არანაკლებ 96%, – ღვინის დისტილატი, რომელიც შეიცავს არანაკლებ 52% და არაუმეტეს 86% შეძენილ მოცულობითი წილ ეთილის სპირტს, – ყურძნის კონცენტრირებული ტკბილი.
1.1.3. ცქრიალა ღვინო	<p>პროდუქტი, დამზადებული ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის ან ღვინომასალების მეორადი ალკოჰოლური დუღილის შედეგად ნარმოქმნილი ნახშირბადის დიოქსიდით ღვინომასალების გაჯერების შედეგად. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 8,5-დან 12,5%-მდე.</p>
1.1.4. მარგალიტის ცქრიალა ღვინო	<p>ცქრიალა ღვინო, რომლისთვისაც ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს 100-დან 250კპა.</p>
1.1.5. რუსეთის (საბჭოთა) შამპანური	<p>სპეციალური ჯიშების ყურძნისაგან დამზადებული ცქრიალა ღვინო. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 350კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 10,5-დან 12,5%-მდე.</p>
1.1.6. დაგაზული ღვინო	<p>პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალის ნახშირბადის ფიოქსიდით ხელოვნური გაჯერებით. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 8,5-დან 12,5%-მდე.</p>
1.1.7. დაგაზული მარგალიტის ღვინო	<p>დაგაზული ღვინო, რომლისთვისაც ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს 100-დან 250კპა.</p>

მელვინობის პროდუქცია, ნედლეული და ნახევარზაპრიკატები. ტერმინები და განმარტებები

1.1.8. ადგილწარმოშობის მიხედვით კონტროლირებული დასახელების ღვინო	ყველა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინო, რომლის დასამზადებლად გამოსაყენებელი ყურძენი მოიყვანება იმ გარევეულ გეოგრაფიულ ადგილზე, რომლის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ღვინოს სძენს გამორჩეულად მაღალ ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს.
1.2 არომატიზირებული ღვინო	მელვინობის პროდუქტი, ეთილის სპირტის მოცულობითი წილით 14,5-დან 22,0%-დე, დამზადებული სუფრის, ლიქიორული, დაგაზული, ცქრიალა ღვინოებისაგან, რომლებშიც დამატებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტი, ნატურალური არომატული და საგემოვნო ნივთიერებები, ასევე ყურძნის ტკბილი, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი და სხვა შაქარშემცველი ნივთიერებები.
	პროდუქტში სუფრის ღვინის, ლიქიორული ღვინის, დაგაზული ღვინის, ცქრიალა ღვინის, ყურძნის ტკბილის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებისა და მათი ნარევების საერთო მოცულობითი წილი არ უნდა იყოს არომატიზირებული ღვინის მოცულობის 75%-ზე ნაკლები.
1.3. ხილ-კენკროვანთა ღვინოები	პროდუქტი, დამზადებული დაქუცმაცებული ხილის ნაყოფების ან ხილის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუღილის შედეგად, მეღვინეობაში დამკებული ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით, თითოეული მათი ტიპისათვის დამახასიათებელი ორგანოლეპტიკური თვისებების მისანიჭებლად. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-დან 22,0%-დე.
1.3.1. ხილ-კენკროვანთა სუფრის ღვინო	პროდუქტი, დამზადებული დაქუცმაცებული ხილის ნაყოფების ან ხილის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუღილის შედეგად, შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-დან 15,0%-დე.
1.3.2. ხილ-კენკროვანთა სპეციალური ღვინო	ხილის ღვინომასალისაგან წარმოებული პროდუქტი, საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტისა და შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 15,0-დან 22,0%-დე.
1.3.3. ხილ-კენკროვანთა არომატიზირებული ღვინო	ხილის ღვინომასალისაგან წარმოებული პროდუქტი, საკვები ნედლეული-დან მიღებული ეთილის სპირტის, შაქარშემცველი, არომატული და საგემოვნო ნივთიერებების დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 14,5-დან 22,0%-მდე.
1.3.4. ხილ-კენკროვანთა თაფლის ღვინო	პროდუქტი, დამზადებული თაფლისა და ხილის ტკბილების სრული ან არასრული სპირტული დუღილის შედეგად, საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტისა და შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-22,0%.
1.4. ყურძნისა და ხილის მაგარისამელები	
1.4.1. ღვინისაგან მიღებული სპირტიანი სასმელი	სპირტიანი სასმელი, დამზადებული ღვინის გადადენით მიღებული დისტილატის გამოყენებით. სასმელში მეთილის სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს $2,0\text{g}/\text{დმ}^3$, ასეოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით.
1.4.2. ღვინისაგან მიღებული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი	სპირტიანი სასმელი, რომლის დასახელება მიუთითებს პროდუქციის წარმოშობის იმ ქვეყანაზე, რაონზე ან ქვეყნის სხვა ადგილზე, სადაც არსებული კანონის დაცვით ინარმოებოდა და ამ დასახელებით გაეთქვა მას სახელი.
1.4.3 კონიაკი	მეღვინეობის პროდუქტი, დამზადებული საკონიაკე დისტილატის მუხის ტკერთან კონტაქტში არანაკლებ 3 წლის განმავლობაში დავარგებით. პროდუქტში ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40%; უმაღლესი სპირტების მასური კონცენტრაცია კონიაკში უნდა იყოს არანაკლებ 170 მგ/100სმ ³ და არაუმტებეს 500 მგ/100სმ ³ , უნყოლ სპირტზე გადაანგარიშებით; მქროლავი მჟავების მასური კონცენტრაცია, ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით, კონიაკში უნდა იყოს არაუმტებეს 200 მგ/100სმ ³ ზე მეტი; მეთილის სპირტის შასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს $2,0\text{ g}/\text{დმ}^3$, უნყოლ სპირტზე გადაანგარიშებით;
1.4.4. გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დასახელების კონიაკი	კონიაკი, რომლის წარმოება შემოიფარგლება გარკვეული გეოგრაფიული ზონით (ქვეყნით), დამზადებული ამ ქვეყნისში დადგენილი სუფრის ღვინოების ფრაქციული გამოხდის მეთოდით მიღებული საკონიაკე დისტილატის გამოყენებით და ამ ქვეყნის დასახელებით გაეთქვა მას სახელი ბოლო 50 წლის მანძილზე.

მელვილობის პროცესი, ცელული და ნახევარზაბრიკატები. ტერმინები და განმარტებები

1.4.5. ბრენდი	ლვინის სპირტისაგან დამზადებული პროდუქტი, 94,8 მოც. % სიმაგრის მქონე ლვინის დისტილატის დამატებით ან ამ დამატების გარეშე. ლვინის დისტილატის მოცულობითი წილი სასმელში არ უნდა აღემატებოდეს ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილის 50%-ს; დაძველებული მუხის ტკეჩთან კონტაქტში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში; გამოყენებული ნედლეულის გადადენის პროცესში ნარმოშბილი მქროლავი ნივთიერებების შემცველობა – არანაკლებ 1,25 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით; მეთილის სპირტის შემცველობა სასმელში არ უნდა აღემატებოდეს 2,0 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – არანაკლებ 37,5%.
1.4.6. ყურძნის არაყი	სპირტიანი სასმელი, დამზადებული ლვინის ან ყურძნის დისტილატის გამოყენებით, ლვინის ან ყურძნის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი სასმელში შეადგენს არანაკლებ 37,5%.
1.4.7. დადუღებული ჭაჭის არაყი	სპირტიანი სასმელი, დამზადებული დადუღებული ჭაჭის უშუალოდ წყლის მწვავე ორთქლით გადადენით ან ჭაჭაზე წყლის დამატებითა და შემდგომი ჰიდროდისტილაციით. ჭაჭის მასური წილი გადასადენ მასაში უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 86%. სასმელში მეთილის სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 10,0 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით.
1.4.8. ხილის არაყი	პროდუქტი, დამზადებული ერთი ან რამდენიმე დასახელების ხილის დისტილატებისაგან, ხილის რეაქტივული სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე; გააჩნია გამოყენებული ნედლეულის გემო და არომატი. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს 37,5-55,0%.
1.4.9. ხილის გამონაპრესის არაყი	სპირტიანი სასმელი, დამზადებული დადუღებული ხილის (ყურძნის გარდა) გამონაპრესის უშუალოდ წყლის მწვავე ორთქლით გადადენით, ან გამონაპრესზე წყლის დამატებითა და შემდგომი ჰიდროდისტილაციით. გამონაპრესის მასური წილი გადასადენ მასაში უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 86%. სასმელში მეთილის სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით. კურკოვანი ხილიდან დამზადებულ სასმელში წყალბადციანმუავის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 10 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით. მქროლავი ნივთიერებების რაოდენობა სასმელში უნდა იყოს არანაკლებ 2 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით.
1.4.10. რუსული კალვადოსი	ხილის (ვაშლის) არაყი, დამზადებული კალვადოსის დისტილატისაგან, დავარებული არანაკლებ 6 თვის განმავლობაში მუხის ტკეჩთან კონტაქტში. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 38,0-40,0%.
1.5. ლვინოზე დამზადებული ალკოლური სასმელები	
1.5.1. ლვინის სასმელი	პროდუქტი, დამზადებული ლვინომასალის, შაქარშემცველი, არომატული, საგემოვნო ნივთიერებებისა და წყლის გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე. ლვინომასალის მოცულობითი წილი პროდუქტში არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.
1.5.2. ლვინის დაგაზული კოქტეილი	ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებული ლვინის სასმელი. ბოთლში არსებული წნევა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 5,0-დან 12,0%-მდე.
1.5.3. სიდრი	პროდუქტი, დამზადებული ხილის ლვინომასალების ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებით ან ხილის ლვინომასალების მეორადი ალკოჰოლური დუღილის შედეგად ნარმოქმნილი ნახშირბადის დიოქსიდით გაჯერების შედეგად. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 5,0-დან 8,5%-მდე.
2. ნედლეული და ნახევარზაპრიკატები	
2.1 ყურძნის ნედლეული და ნახევარფაბრიკატები	მეღვინეობაში გამოყენებული ყურძნის მწიფე ნაყოფი, რომელიც შეიძლება დაქუცმაცდეს ან დაიზნებოს მეღვინეობის ჩევულებრივი საშუალებებით, და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თავისთვალი (სპონტანური) სპირტული დუღილი.
2.1.1. ახლადდაკრეფილი ყურძნები (ახლადდაკრეფილი ყურძნ. მარც.-ები)	

მელვინობის პროდუქცია, ცელულუ და ნახევარზაბრიკატები. ტერმინები და განმარტებები

2.1.2. ყურძნის ტკბილი	თხევადი პროდუქტი, რომელიც მიიღება ახლადდაკრეფილ ყურძნზე ფიზიკური ზემოქმედების (დაწნებების) შედეგად. დასაშვებია ყურძნის ტკბილში არაუმეტეს 1 მოც. % შეძენილი ეთილის სპირტის არსებობა.
2.1.3. ყურძნის კონცენტრირებული ტკბილი	ტკბილი, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილის ნებისმიერი დაშვებული მეთოდით ნაწილობრივი გაუწყლოებით, გარდა ლია ცეცხლისა. პროდუქტში მშრალი ნივთიერებების შემცველობა შეადგენს 50,9 % (რეფრაქტომეტრით).
2.1.4. ყურძნის წვენი	დაუდუღებელი (მაგრამ დადუღების უნარის მქონე) თხევადი პროდუქტი, რომელიც მიიღება შესაბამისი დამუშავებით, ასეთივე სახით მოსახმარებლად. მიიღება: ა) ახლადდაკრეფილი ყურძნის მარცვლებიდან, ან ყურძნის ტკბილისაგან ან ბ) აღდგენის გზით: - კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, - კონცენტრირებული ყურძნის წვენის. დასაშვებია ყურძნის წვენში არაუმეტეს 1 მოც. % შეძენილი ეთილის სპირტის არსებობა.
2.1.5. ყურძნის კონცენტრირებული წვენი	არაკარამელიზირებული ყურძნის წვენი, რომელიც მიიღება ყურძნის წვენის ნებისმიერი დაშვებული ხერხით ნაწილობრივი გაუწყლოებით, გარდა ლია ცეცხლისა. პროდუქტში მშრალი ნივთიერებების შემცველობა რეფრაქტომეტრით არ უნდა აღმატებოდეს 50,9%. დასაშვებია ყურძნის წვენში არაუმეტეს 1 მოც.% შეძენილი ეთილის სპირტის არსებობა.
2.2. ღვინომასალები და ყურძნისა და ხილის ალკოჰოლშემცველი ტკბილები	
2.2.1 ღვინომასალები	ღვინოები ჩამოსხმით, გამიზნული სამომხმარებლო ტარაში ჩამოსასხმელად ან სხვადასხვა სახის მეღვინეობის პროდუქციის დასამზადებლად;
2.2.2. ყურძნის დასპირტული ტკბილი (მისტელი)	პროდუქტი, დამზადებული ახლადდანურულ ყურძნის ტკბილზე საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი ნილი შეადგენს 15,025,0%.
2.2.3. ხილის დასპირტული ტკბილი	პროდუქტი, დამზადებული ახლადგამოწურული ხილის ტკბილის საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი ნილი შეადგენს 15,0-25,0%.
2.2.4. ნაწილობრივ დადუღებული ყურძნის ტკბილი	პროდუქტი, დამზადებული ყურძნის ტკბილის დადუღებით, აქვს 1%-ზე მეტი ეთილის სპირტის შეძენილი მოცულობითი ნილი და ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი ნილის 3/5-ზე ნაკლები რაოდენობა; ამასთან, ადგილწარმოშობის დასახელების ზოგიერთი მაღალხარისხოვანი ღვინოები, რომელებშიც შეძენილი ეთილის სპირტის მოცულობითი ნილი ნაკლებია ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი ნილის 3/5-ზე, მაგრამ არანაკლებ 5,5 მოც.%, არ განიხილება ნაწილობრივ დადუღებულ ტკბილად.
2.2.5. ნაწილობრივ დადუღებული ხილის ტკბილი	პროდუქტი, დამზადებული ხილის ტკბილის დადუღებით, აქვს 1%-ზე მეტი ეთილის სპირტის შეძენილი მოცულობითი ნილი და ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი ნილის 3/5-ზე ნაკლები რაოდენობა.
2.2.6. ხილის დადუღებული ტკბილი	პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ხილის წვენის ან დურდოს დადუღებით. ეთილის სპირტის მოცულობითი ნილი შეადგენს 4,0-8,5მოც.%.
2.2.7. ხილის დადუღებულ-დასპირტული ტკბილი	პროდუქტი, დამზადებული დადუღებულ ხილის ტკბილზე საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი ნილი შეადგენს 16,0 მოც.%.

მეღვინეობის პროდუქცია, ცელლული და ნახევარზაბრიკატები. ტერმინები და განმარტებები

2.3. ყურძნისა და ხილის დისტი-ლატები და სპირტები	
2.3.1 ღვინის დისტილატი	პროდუქტი, დამზადებული სუფრის ღვინომასალების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 52,0 – 86,0%.
2.3.2. საკონიაკე დისტილატი, ახალგაზრდა	პროდუქტი, დამზადებული არანაკლებ 7,5% ეთილის სპირტის მოცულობითი წილის მქონე სუფრის ღვინომასალების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 62-70%. უმაღლესი სპირტების მასური კონცენტრაცია – 180-600მგ/100სმ ³ ; მქროლავი მჟავების მასური კონცენტრაცია, არაუმეტეს 80 მგ/100სმ ³ ;
2.3.3. საკონიაკე დისტილატი, და-ვარგებული	საკონიაკე დისტილატი, რომელშიც ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 55,0-70,0%. მიიღება ახალგაზრდა საკონიაკე დისტილატის მუხის ტკეჩთან კონტაქტში დავარგებით. უმაღლესი სპირტების მასური კონცენტრაცია – 170-500მგ/100სმ ³ ; მქროლავი მჟავების მასური კონცენტრაცია – არაუმეტეს 250 მგ/100სმ ³ .
2.3.4. ყურძნის დისტილატი	პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ჭაჭისა და ლექების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს არაუმეტეს 86,0%.
2.3.5. ხილის დისტილატი	პროდუქტი, დამზადებული ხილის დადუღებული ტკბილის, ხილის ნედლი სპირტის, ხილის გამონაპრესისა და ლექების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 52,0 – 86,0%.
2.3.6. კალვადოსის დისტილატი, ახალგაზრდა	პროდუქტი, დამზადებული ხილის (ვაშლის) დადუღებული ტკბილის ფრაქციული გამოხდით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 62,0-70,0%.
2.3.7. კალვადოსის დისტილატი, დავარგებული	მუხის ტკეჩთან კონტაქტში დავარგებული კალვადოსის ახალგაზრდა დისტილატი. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 55,0 – 70,0%.
2.3.8. ყურძნის ნედლი სპირტი	პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალების, დადუღებული ჭაჭის, ლექების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს არაუმეტეს 40,0%.
2.3.9. ყურძნის რექტიფიცირებული სპირტი	პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალების ან ყურძნის ნედლი სპირტის რექტიფიციით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს არანაკლებ 94,8%.
2.3.10. ღვინის სპირტი	პროდუქტი, დამზადებული სუფრის ღვინომასალის ან ღვინის დისტილატის გამოხდით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 86,0%.
2.3.11. ხილის ნედლი სპირტი	პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ხილის ტკბილის, ხილის გამონაპრესისა და ლექების დადუღებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 30,0%.
2.3.12. ხილის რექტიფიცირებული სპირტი	პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ხილის ტკბილის ან ხილის ნედლი სპირტის რექტიფიციით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 94,8%.

განმარტებები:

- ეთილის სპირტის შეძენილი მოცულობითი წილი: სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობა 20°C-ზე, რომელსაც პროდუქტი შეიცავს იმავე ტემპერატურაზე.
- ეთილის სპირტის პოტენციური მოცულობითი წილი: სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობა 20°C-ზე, რომელიც შეიძლება იწარმოოს პროდუქტის 100 მოცულობაში არსებული შაქრების სრული დადუღებისას;
- ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი: ეთილის სპირტის შეძენილი და პოტენციური მოცულობითი წილების ჯამი;
- ეთილის სპირტის ნატურალური მოცულობითი წილი: პროდუქტში არსებული ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი, მისი ეთილის სპირტით გამდიდრებამდე;

5. ეთილის სპირტის შეძენილი მასური წილი: სუფთა სპირტის კილოგრამების რაოდენობა, რომელსაც შეიცავს 100კგ პროდუქტი;

6. ეთილის სპირტის პოტენციური მასური წილი: სუფთა სპირტის კილოგრამების რაოდენობა, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნას 100 კგ პროდუქტში არსებული შაქრების სრული დადუღებისას;

7. ეთილის სპირტის საერთო მასური წილი: ეთილის სპირტის შეძენილი და პოტენციური მასური წილების ჯამი.

ნუზზე პალარუზის:
კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

დედაქალაქის ყურძნის ბაზრობის საკითხებისათვის

როველი – 2014 შეიძლება ითქვას, რომ პარსაა მომდგარი. ძართული მავინეახოგა-ხელვილეობის სფეროში მომდევარი მით-ნაკლებად მიღვ-ცელოვანი საკითხების შესახებ ჩვენ უსრულა „ახალი აზრარული სა-ძართვალოს“ ხეველეობით თანისამდებობის პლასტიკური საკითხების გადასახვას, ხოლო მანამდე კი რო მეტად მტკი-ცეულ საკითხებზე შევაჩრეოთ თქვენ ჩურალებისა. ამავე საკითხებზე ჩვენ უკვე არაერთხელ აღგვინიშნავთ სხვადასხვა დროს. საქმი ისება ჩვენს დედაქალაქში უსრძნის გაზრობის მოწყობის საკითხებს.



საქმე ის გახლავთ, რომ ვაზისა და ღვინის აკვინის სტატუსის მქონე ქვეყნისათვის ყურძნის, თუნდაც ელე-მენტარულად მოწყობილი ბაზრობის არარსებობა სამარცხვინოა! არადა ყურძნის ბაზრობების ამსახველ ძველ ფოტოებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ეს საკითხი მეცხრამეტი საუკუნის შუა ხანებშიც კი ყოფილა მოგვა-რებული, ამასთან ძალიან კარგადაც. ქვეყნის ღვინის კულტურა არა მხო-ლოდ ეროვნულ მუზეუმში გამოფე-ნილი ვაზთან და ღვინოსთან დაკავ-შირებული უძველესი ექსპონატებია, არამედ უმთავრესად ის რეალური სიტუაციაც, რაც მუზეუმს გარეთაა შექმნილი.

ცხადია, ეს ყოველივე ერთ ადამი-ანზე არაა დამოკიდებული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დედაქა-ლაქმი ან მის გარეუბანში მოწყოს ყურძნის ბაზრობა, რაც გარკვეულ-ნილად ღვინის ტურიზმის მხრივაც იქნება მეტ-ნაკლებად საინტერესო. თუმცა კი სწორედ აქ მივადებით ერთ დიდ პრობლემას და კონკურეტულად კი იმას, რომ ყურძნის ბაზრობას ძი-რითადი დატვირთვა რთველის დროს ექნება. რთველი კი, მოგეხსენებათ, წელინადმი მხოლოდ ერთჯერაა, ხო-ლო სოფლის მეურნეობის მინისტრი კი წელინადში მინიმუმ ორჯერ იცვ-ლება... ეტყობა, სწორედ ამიტომაა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ვერა და ვერ დაადგა საშველი.

მაგრამ მოდით დავუბრუნდეთ ყურძნის ბაზრობის საკითხს. ამჟამად თბილისში არ არსებობს ისეთი მუდ-მივი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ყურძნის შექმნა. ამგვარი

ადგილები გაბნეულია სხვადასხვა გა-რე ბაზრობებზე, სადაც უმთავრესად საშინელი ანტისანიტარია სუფერს. რიგ შემთხვევებში რეალური სურა-თი გლდანის ლეგენდარულ ნაგავსაყ-რელს მოგვაგონებს. ძნელი სათქმე-ლია, ველირსებით თუ არა ყურძნის ბაზრობას უახლოეს წლებში და ვინ გააკეთებს ამ ყველაფერს, მაგრამ ჩვენ სამომავლოდ მაინც გვინდა რამ-დენიმე რეკომენდაცია მივაწოდოთ ამ საქმის მესვეურთ.

მაშ ასე, დედაქალაქში ყურძნის ბაზრობა უნდა იყოს ერთ მუდმივ ადგილას. იგი უნდა იყოს სახურავს-ქვეშ მოქცეული და მას უნდა ჰქონ-დეს დამის კარგი განათება. ყურძნის ბაზრობაზე უნდა ფუნქციონირებდეს მაღაზია, სადაც შესაძლებელი იქნე-ბა: ღვინისა და ყურძნის ჭურჭლის, მევენახეობა-მელვინეობის ინვენ-ტარის, ჭაჭის არყის გამოსახდელი ქვაბების, ვაზის მავნებელ-დაავადე-ბების საწინააღმდეგო პრეპარატები-სა თუ დარგობრივი ლიტერატურის შექმნა. აქვე შესაძლოა არსებობდეს საკონსულტაციო სამსახურიც. ამავე ადგილას უნდა მუშაობდეს ლაბორა-ტორიაც, სადაც მოხდება, როგორც ყურძნის შაქრიანობა-მუზავიანობის დადგენა, ისე ღვინის სხვადასხვა პა-რამეტრების განსაზღვრაც, რა თქმა უნდა შედარებით შედავათის ფასად. ბაზრობაზე სატვირთო მანქანები-სათვის მოწყობილი უნდა იყოს სას-წორი. ბაზრობას უნდა ჰქონდეს სვე-ლი წერტილები და სხვ.

დედაქალაქის ყურძნის ბაზრობის საკითხი, სადაც სარეალიზაციო ყურ-ძნის ჩამოტანა მოხდება არა მხოლოდ კახეთიდან, არამედ სხვა რეგიონები-დანაც, სოფლის მეურნეობის სამინის-

ტრომ, ვაზისა და ღვინის ეროვნულ-მა სააგნეტომ და თბილისის მერიამ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ. 2014 წელი, სამწუხაროდ, ამ ბედნიერებას მოაკლდება, მაგრამ გვინდა ჩამოთვ-ლილ ორგანოებს მივმართოთ თხოვ-ნით, რომ შემდეგ წელს მაინც გამონა-ხონ რესურსი ამ მნიშვნელოვანი საქ-მის გასაკეთებლად. ამ ყოველივეზე კი ბევრი რამაა დამოკიდებული და ამა თუ იმ წლის რთველი წარმატებულად და სრულფასოვნად ვერანაირად ვერ ჩაითვლება, სანამ ჩვენს დედაქალაქ-ში ყურძნის ბაზრობა არ იარსებებს. ამგვარი ბაზრობა მაღვე გადაიქცევა დედაქალაქის ერთ-ერთ კოლორიტულ ადგილად, რომელსაც გარდა ყურძ-ნის შექმნა-გაყიდვით დაინტერესე-ბული ხალხისა, ბევრი სხვა მნახველი ეყოლება და მათ შორის უცხოელიც. დიდად სავარაუდოა, რომ ეს ადგი-ლი არაერთ ქართულსა თუ უცხოურ ფილმშიც იქნება გადაღებული... აქვე ის სამწუხარო ფაქტიც უნდა ვახსე-ნოთ, რომ ის ამჟამინდელი უსახური და ბინძური ადგილები, სადაც გადამ-ყიდველები ყურძნის გაფილი მოხვდა, რის გამოც ნამდვილად ვერა გვაქვს საქმე მთლად „ღვინისააკვენდ“...

როგორც თავში აღვინიშნეთ, ქვეყ-ნის ღვინის კულტურა შესაძლოა ერ-ოვნული მუზეუმის საგამოფენო დახ-ლებიდან დაინტერესო, მაგრამ ის ამავე ახლებზე არ უნდა დასრულდეს!

ნინ როველი – 2014-ია, თუმცა კი ყურძნის ბაზრობის გარეშე. ბარაქი-ან-ხევაინანი რთველი და შემოდგომა ვუსურვოთ ჩვენს ქვეყანას.

მიზანი გარემოზნობითი და გამოწვევისათვის, მცხეთა 2014.



ასეთი ადამიანის მხრეზე დგას ევეყანა!

რამდენიმე პაირის თინ, გორიდან რედაქციაში პატონება ივანე ლაზარაშვილმა დარჩეა: შარშან პრასოლიდან ხორბლის ახალი ჯიშები შემოვიდა, მინდა გაჩვენოთ, როგორი მოსავალი მიიღოს ფინანსურის მიერად.

წლევანდელი წელი ხორბლისთვის, თითქმის მთელ ქეყყანაში, მოუსავლიანი იყო – შირაქი გვალვამ გადაახმო, ხორბალი კი არა, საძოვრებიც აღარ დატოვა. სილნაძლა და კახეთის სხვა ზონებშიც არ არის უკეთესი ვითარება.

ქვემო ქართლში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. წლეულს აქ მეტი ნალექი მოვიდა, ზოგგან ხორბლისა და სხვა თავთავიანი კულტურების მოსავალიც კარგი იყო. ქართლის ზონაში მკა გვიან ინწება, მაგრამ აგვისტოს ბოლოსთვის თითქმის ყველგან დასრულებულია. ამიტომ ცოტა გამიკვირდა, როცა ბატონმა ივანემ ხაშურის რაიონის სოფელ ოსიაურში მკაში დაგვპატიუა. უურნალის აგვისტოს ნომერი უკეთ სტამბაში ჩასაძევდა იყო მზად, მაგრამ გადავწყვიტე, შანსი ხელიდან არ გამეშვა. საქართველოს პირობებში ჰექტარზე 70-80 ცენტნერი ხორბლის მარცვალი მონევა ხუმრობა არაა. აგრარული უურნალისათვის უკეთესი ინფორმაცია რა უნდა მომექინიბინა, ამიტომ სასწრაფოდ ფოტოაპარატს დავწვდი და ხაშურისკენ გავწინ.

სოფელი ზემო და ქვემო ოსიაური ხაშურის მუნიციპალიტეტში, ქართ-

ლის ვაკეზე, მდინარე საკრამულას (მტკვრის მარცხენა შენაკადი) მარცხენა მხარეს მდებარეობს. სოფელში 2006 წლის 1 იანვრის მონაცემებით 425 კომლი, 1400-მდე კაცი ცხოვრობს.

ქართლის ვაკე ნოყიერი, შავმინანიადაგებითაა ცნობილი. ჰავაც ზომიერია, რაც მარცვლეული თუ ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურებისთვის იდეალურ პირობებს ქმნის.

ტარიელ მეტივიშვილი ოსიაურში დაიბადა, აქა არის მისი მამაპაპისეული კერა. შემდეგ საცხოვრებლად გორში გადავიდა, საკუთარი ბიზნესიც წამოიწყო, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, მამაპაპისეული მამულებისკენ გაუნია გულმა და ვაჟთან ერთად ფერმერობას მიჰყო ხელი, ჯერ რამდენიმე ჰექტარი მინა შეიძინა, მერე თანდათან გაზარდა მეურნეობა და დღეს 100 ჰექტარამდე მინას ფლობს.

13 ჰექტარიანი ყანის ნაწილი გაღენილი დაგვეხვდა, როგორც ტარიელმა აგვისტნა, გუშინ აუღიათ. – აქ ხორბლის ორი ჯიში მეთესა, ყანა შუაზე გავყავი, ერთ მხარეს ხორბლის ჯიში „იუკა“ გვეთესა, მეორე მხარეს კი – „ტანიაა“ – გვისნის ტარიელი,

– „იუკა“ გუშინ ავიღე, დაახლოებით 6 ჰექტარზე, შესანიშნავი მოსა-

ვალი მოგვცა – ჰექტარზე საშუალოდ 7 ტონა მოსავალი მივიღეთ.

დღეს „ტანიას“ ავიღებთ – მოშრიალე თავთავდახრილ ხორბლის ყანაზე მიგვითითებს ტარიელი და ახლა პირადად ივანე ლაზარაშვილს მიმართავს, – ნახე როგორი თავთავები გამოიტანა შენმა მოცემულმა ხორბალმა, 17-20 ნაბარტყზე ნაკლები არცერთ ძირზე არ არის, მარცვალიც როგორი მსხვილია?! გამოცდილი ხალხი მეუბნება, კარგი ფქვილი ექნება. აქ ალბათ ჰექტარზე 8 ტონა მარცვალს მაინც ავიღებ – ტარიელი ხელისგულზე თავთავს ფშვნის და მარცვლებს გვაჩვენებს.

– ხორბლის ეს ჯიშები: „იუკა“ და „ტანია“ კრასნოდარიდან შემოვიტანე. ჩვენთან ხარისხიან ხორბლის სათესლე მასალის შეძენა ყოველთვის ჭირდა. ვინ რას თესავს, ვერ გაიგებ, ამიტომ მოსავლიანობაც ძალიან დაბალია. კრასნოდარი მეხორბლების ცნობილი ზონაა, მეგობრებს ვთხოვე დახმარება. ამჯერად ხორბლის ეს ჯიშები შემომთავაზეს და ელიტური სათესლე მასალა შემაძინებს.

ხორბლის ორივე ჯიში რუსეთის სელექციური მიღწევების სახელმწიფო რეესტრშია დაპატენტებული.

„ტანია“ ტრიტიკალეს ხორბალთან უკუქერევითი შეჯვარებით მიღებული პიბრიდული კომბინაციის სამჯერადი შერჩევითა შექმნილი.

ნახევრად ჯუჯა ჯიშია, საკმაოდ მდგრადია ჩაწლისადმი. საშუალო საადრეოა. მდგრადია მარცვლის ჩაბ-ნევის მიმართაც.

მოსავლიანობას რაც შეეხება, 1999-2008 წლების ჯიშთაგამოცდის შედეგების მიხედვით მოსავლიანობის მაჩვენებელი ჰპა-ზე საშუალოდ 111,7 ცენტნერია. 1000 მარცვლის წონა 45,4 დან 46,5 გრამამდეა. მარცვლის ხარისხი იმ სტანდარტს აკმაყოფილებს, რაც ძირიფასი ხორბლის ჯიშებს მოეთხოვება.

ჯიში გამდლეა ნაცრის და მტკრიანა გუდაფშუტას, ასევე მურა და ყვითელი უანგას მიმართ. თავთავის ფუზარიოზისადმი ამჟღავნებს საშუალო სიმტკიცეს. ღეროს უანგით და სეპტორიოზით საშუალოდ ავადდება. გვალვაგამდლეა. მაღალ და საშუალო აგროფონზე კარგ მოსავალს იძლევა. თესლბრუნვაში რეკომენდებულია სიმინდის შემდეგ დასათესად.

თესვის ოპტიმალური ნორმა ჰპა-ზე 5 მლნ. ალმოცუნებული თესლია.

„უკაც“ კრასნოდარიდანაა. შედარებით ახალადგამოყვანილი ჯიშია, 2012 წელს არის დაპატენტებული. დაახლოებით 100 სმ-მდე სმ. სიმაღლის იზრდება. მდგრადია ჩაწლისა და მარცვლის ჩაბნევის მიმართ. საშუალოდ საგვიანო ჯიშია, სტანდარტული ჯიშებთან შედარებით 3-4 დღით გვიან შემოდის. წითელი შეფერილობის, მოგრძო, საშუალო სიდიდის მარცვალი აქვს. 1000 მარცვალი 40-45 გრამს იწონის.

ჯიშის ახახიათებს სტაბილური პროდუქტულობა. პოტენციური მოსავლიანობა ჯიშთაგამოცდის მონაცემების მიხედვით ჰპექტარზე 111 ცენტნერია.

ამ ჯიშის ხორბლის ფქვილის შემადგენლობაში ცილების რაოდენობა საშუალოდ 13,6-14,0 % შეადგენს, წებოგვარა - 27-28 %.

ჯიში რეკომენდებულია ღარიბ, საშუალო და მაღალ აგროფონზე მოსაყვანად. გამძლეა დაავადებებისადმი.

ეს რაც შეეხებოდა ჯიშების თეორიულ დახასიათებას. პრაქტიკულ შედეგს, თავად ხედავთ. ამ ჯიშებიდან გორელმა ფერმერებმაც საუკეთესო მოსავალი მიიღეს. აი, ასეთი ხორბლის თესლს ვთავაზობთ ფერმერებს.

გაისად სიმინდის ახალი ჯიშების შემოტანას ვფიქრობ, უკვე ვანარმოებ მოღაპარაკებას პარტნიორებთან. რამდენიმე ჯიში შემირჩის, რომელიც ჰპექტარზე 12-14 ტონა მარცვალს იძლევა.

- საქართველოს ფერმერს რეალური დახახმარებას ჭირდებათ, მაგრამ სახელმწიფო რეალურად უნდა ამოუდეგს მხარში იმას, ვინც ამ დახმარებას მიზნობრივად გამოიყენებს, გადახედეთ რამდენი მოუვლელი ფართობებია. სახელმწიფომ ამდენი ფული დასარჯა, გლეხებს მიწები დაუმუშავა, მაგრამ რა, კვლავ მინის დიდი ნანილი მოუვლელადა მიგდებული, ამიტომ მიწაზე გადასახადი გადაიხადოს უნდა ყველამ! დღეს მცირე და საშუალო ფერმერი, არათანაბარ პირობებშია. ვისაც 5 ჰპექტარამდე მიწის ფართობი აქვს გადასახადს არ იხდის და რახან „მიწა არაფერს ითხოვს“, არც მიწის და არც სახელმწიფოს მიმართ არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია, თავს არ იწუხებს, ელოდება სარფიან მომენტს. აი, როცა ამ მიწაზე გადასახადი ექნება გადასახდელი და თუ არ დაამუშავებს, პასუხი მოეთხოვება, მაშინ ხელს გაანძრევს, ან იმას

მისცემს, ვინც ამ მიწის ყადრი იცის - მეუბნება ბატონი იავანე ლაზარაშვილი.

შეუძლებელია არ დაეთანხმო. მართლაც საუკეთესო მიწაა, შავი ერთდროულად ფხვიერიც და ნესტიანიც, ვხედავ ნაკვეთების დიდი ნანილი დაუმუშავებელია. არადა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარწყავი არხების რეაბილიტაცია ჩაატარა. სისტემა, როგორც ფერმერები ამბობენ მთლად გამართულად არ მუშაობს, ზოგან ნაკვეთები იტბორება, მაგრამ სარწყავი წყალი საკმარისია, მცირე ხარვეზების აღმოფხვრა თავად ფერმერებსაც შეუძლიათ.

- ეს ნიადაგი ძალიან დიდხანს ინარჩუნებს ტენიანობას, უკვე ერთი თვეა არ უწვიმა და რამდენიმე სანტიმეტრის სიღრმეზე მანც საემაოდ ტენიანია, მიწა ხელში იგლისება. წელს არც სიმინდი მოგვირწყავს, მაგრამ ნახეთ როგორია. 20 ჰპექტარზე გვითესია, კარგი მოსავალი უნდა მივიღოთ - მეუბნება ტარიელი.

მრატო ხორბალი და სიმინდი კი არა ლობიო, კარტოფილი და პამიღორიც მოგვყავს მიხსნის ალეკო და პამიღვრის პლანტაციაში გვეპატიუება.

მულჩზე, წვეთოვანი სარწყავი სისტემით 5 ჰპექტარზე გაშენებული პამიღვრის ორი ჯიში „სლივეა“ და „მირსინ“. აქა-იქ პამიღორ უკვე შეთვალებულია. ერთ კვირაში კუეფაც დაინტება. მოსავალიც საუცხოო უნდა იყოს. ეს უხვმოსავლიანი ჰიბრიდებია. კარგად მოვლილია, რაც მსხმოიარობაზეც ეტყბა, ნაყოფით მთლიანად დახუნდლულია.

- ყოველ დღე ამ ბაღჩაში 10-15 ადამიანი მუშაობს - მიხსნის ალეკო - მათი ყოველდღიური ანაზღაუ-



რება 15-20 ლარს შეადგენს. საეროდ მეურნეობაში 25 კაცამდე გვყავს დასაქმებული, რომელთა საშუალო ანაზღაურება 400-500 ლარია. 6 ჰექტარზე ლობით გვქონდა დათესილი, კარგი მოსავალი მოვიდა, 5 ჰექტარზე კარტოფილი გვითესია, ერთ კვირაში დავიწყებთ ამონებას. ტექნიკაც ჩვე-

ნი გვაქვს: ტრაქტორები, სათესები, კულტივატორები, კომბაინს ვეირაობთ მარტო. მკა ცოტა დაგვიგიანდა, თივის აღებას ვჩეკარობდით, გვიფუჭდებოდა. მთელი წელი დაძაბულ შრომაში ვართ, მაგრამ ღირს, შემოსავლის გარდა, ეს ერთგვარი აზარტიცაა, აბარებორ მოსავალს მიიღებ!

აღეცო კარგი მოსაუბრება, ჩანს ინტელექტიც უჭრის, იცის რასაც აკეთებს, სოფლის მეურნეობაში კი წარმატების მისაღწევად ცოდნა გადამწყვეტია. ამ ხალხს, მათ დაკოურილ ხელებს რომ უყურებ გსიამოგნებს. სწორედ ასეთი ადამიანების მხრებზე დგას ქვეყანა.

ზოგიერთი სთვის

რა პის კომპარატი

უკანასკნელი 20-35 წლის განეავლოგაზი, სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობა გაუარისება ეპოლოგიური სიტუაცია. ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად, მიმიური სასუკინდის გამოყენებამ დააჯვალია ნიადაგში საპავებ ნივთიერებათა შემცველება.

დღეს, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების უამრავი ბუნებრივი საშუალება არსებობს. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია კომპოსტირება, რომელიც საუკუნეების გამზავლობაში იყო ცნობილი.

ყველა ორგანული მასალა დროთა გამნავლობაში იშლება. დაშლის ხანგრძლივობა შეიძლება დაჩეკარდეს კომპოსტირების მეთოდით. კომპოსტი, შავი, ფეხიერი მინის სუნის მქონე, ორგანულ მასალას წარმოადგენს. ის ორგანული ნაერთის მიკრობული დაშლის შედეგად მიიღება და წარმოადგენს სასუქს, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერების გასაუმჯობესებლად გამოიყენება. იგი ხელს უწყობს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების ზრდას, ამარავებს მის ფიზიკურ თვისებებს. ის შეიძლება დამზადდეს მოსახლეობის მიერ, ინდივიდუალურად სახლში ან საბაზე მეურნეობაში.

ხარისხიანი კომპოსტის მისაღებად ძალიან მნიშვნელოვანია სწორად გავიგოთ კომპოსტირების პროცესი. იმისთვის, რომ სწორად და სწრაფად წავიდეს კომპოსტირების პროცესი, საჭიროა საკომპოსტები წაყარი შესაბამისი პირობებით უზრუნველყოთ.

თავდაპირველად ისეთი ადგილის შერჩევაა საჭირო, სადაც შეიძლება საკომპოსტები წაყარის განთავსება. კომპოსტირებისთვის საუკეთესო ადგილს ბალი წარმოადგენს. საკომპოსტები წაყარი უნდა განთავსდეს მცირედ წესტიან ადგილას, სპეციალურ კონსტრუქციაში-კომპოსტერში. მიკრობული აქტივობისთვის საკომპოსტები წაყარი ძალიან მნიშვნელოვანია ტენის არსებობა. ხელის შეხებისას ნიადაგი უნდა იყოს სველი, ნოტიო. რაც უფრო დიდია საკომ-

პოსტები მასალის ზედაპირის ფართობი, მით უფრო ეფექტურად მიმდინარეობს დაშლის პროცესი. საკომპოსტები მასალის იდეალური ზომა არის 1მ³. უფრო მცირე ზომის საკომპოსტე წაყარში წარჩენები ადვილად გამოშევა. ეს რომ არ მოხდეს და არ გართულდეს დაშლის პროცესი, საჭიროა მისი პერიოდულად მორწყვა. მაგრამ არა ჭარბი რაოდენობით. ჭარბმა წყალმა შეიძლება საკომპოსტე წაყარიდან მკვებავი ნივთიერებების გამორცხულება გამოიწვიოს, ამას კი არასასიამოვნო სუნი აქვს. ამის თავიდან ასაცილებლად თუ საკომპოსტე წაყარი ზედმეტად სველია, საჭიროა საკომპოსტე წაყარის მორევა და ჩალის ან ფოთლების დამატება.

კომპოსტირება შეიძლება წარიმართოს აერობულ (ჟანგბადიანი გარემო) და ანაერობულ (უუნგბადო) გარემოში. აერობულ გარემოში დაშლა ბევრად სწრაფად მიმდინარეობს ვიღრე ანერიობულში. მიკროორგანიზმები და უხერხებლოები, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ ორგანული წარჩენების დაშლაში, უანგბადს და წყალს საჭიროებენ, რათა დაშლის პროცესი ეფექტურად წავიდეს. თუ საკომპოსტე მასალაში არ არის საკმარისი მიკროორგანიზმები, ცოცხალი მიკროორგანიზმების და მცენარეული მასალის დამატებასა საჭირო. ორგანული წარჩენები იყოფა ორ ნახილად “მუქ” და “მწვანე” კომპონენტებად. ყველა ორგანული მასალა წახმირბადს და აზოტს შეიცავს. კომპოსტირების პროცესისთვის საჭიროა მათი დაბალანსება. ხელი ფოთლები, ჩალა, თივა და ნახერი, მდიდარია წახმირბადით და შედიან “მუქ” კომპონენტში. ხელ მწვანე ბალაზ, ნაკელი, ბოსტნეული და სახლის წარჩენები, მდიდარია აზოტით და შედიან “მწვანე” კომპონენტში. კომპოსტირებაში დიდ როლს ასრულებენ აგრეთვე საკომპოსტე წაყარში მყოფი ბაქტერიები, ხოჭოები და სოკოები, რომლებიც ორგანულ წარჩენებს კომპოსტად გარდაქმნიან.

გასათვალსწინებელია საკომპოსტე წაყარში ოპტიმალური ტემპერატურის არსებობაც. საკომპოსტე წაყარის ზომა უნდა იყოს საკმაოდ დიდი, რომ მასში სითბო შენარჩუნდეს. მიკროორგანიზმების აქტივობის შედეგად წარმოქმნილი სითბო ხელს უწყობს ორგანული წარჩენების დაშლას. ეს ხდებ მაშინ, როცა ტემპერატურა 33 600 ც უდრის. თუ ტემპერატურა 700 ზე მეტია, მაშინ ბევრი სასარგებლო თრგანიზმი იღუპება ან მათი აქტივობა მცირდება. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აზოტის შემცველი ორგანული წარჩენების ან წყლის დამატება.

კომპოსტი შეიძლება ჩაითვალოს მზად, როცა საკომპოსტე წაყარში ტემპერატურა გაუთანაბრდება გარემოს ტემპერატურას, როცა ორგანული მასალა მიიღებს მუქ შეფერილობას და როცა მას მინის სურნელი აქვს.





ვაშლის ცარიცხის პერსავეტივული საქართველო

ვაშლის, როგორც საეციალისტები განვითარებონ, კარგი საეპსაორო არაფერიალი აქვს, როგორც ცელლ ხილს, ისე გადამუშავების შედეგად მოღებულ პროდუქტს, ვაშლის ცვენის კონცენტრაცის, ხილფაფებს და სხვა.

მსოფლიოში ხილის საექსპორტო მოცულობებში ვაშლი ციტრუსებისა და ბანანის შემდეგ მესამე ადგილი უკავია. ვაშლისა და მსხლის მწარმოებელთა საერთაშორისო ასოციაციის (WAPA) მონაცემებით ვაშლის მსოფლიო წარმოება 65 მილიონ ტონას აჭარბებს, ხოლო ვაშლის (როგორც ხილის) ექსპორტის მოცულობა 6 მილიონ ტონაზე მეტია. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ექსპერტთა შეფასებით ბაზარი გაჯერებული არ არის, მიწოდება მოთხოვნილებას არ აჭარბებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე საქართველოდან ამ ხილის წარმატებული ექსპორტის კარგ პირობას ქმნის.

აშშ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის პროგნოზით ვაშლის მსოფლიო წარმოება 2012/2013 წლებში 2%-ით გაიზარდა, რაც ახალი რეკორდია.

2011/2012 წლების მონაცემებით ვაშლის მოსავალმა მსოფლიოში 65 230 000 ტონას გადააჭარბა, რაც 2009/2010 წლების მოსავალთან შედარებით 4 პროცენტით, ხოლო გასულ ხუთ სეზონთან შედარებით 11 %-ით მეტი იყო.

ვაშლის უმსხვილესი მწარმოებელი ჩინეთია მსოფლიოში. ბოლო ხუთ წელიწადში სახელმწიფოს დახმარებით ქვეყანამ ვაშლის ბალების გაფართოებისა და მენეჯმენტის ეფექტუალობის წყალობით, ვაშლის საერთო მსოფლიო წარმოებაში თავის წილის 60 პროცენტამდე გაზრდა შეძლო. ამის მიუხედავად ჩინეთიდან ვაშლის ექსპორტი წინა წლებთან შედარებით არ გაიზარდება, რადგან ქვეყანამ ამ ხილის წარმოების გაზრდასთან ერთდ, მისი შიდა მოხმარებაც გააორმავა.

ევროკავშირში, რომელიც ვაშლის წარმოების მოცულობით მსოფლიოში მეორე ადგილზეა, წლებანდელი პროგნოზით ვაშლის წარმოება 5%-ით შემცირდება, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი მსოფლიოს უმსხვილესი ექსპორტიორის იმიჯს მაინც შეინარჩუნებს.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ევროპული ვაშლის ძირითად მომხმარებლად კვლავაც რუსეთი დარ-

ჩება. საინტერესოა, რომ ამ სეზონზე რუსეთის ვაშლის წარმოება 8%-მდე გაიზრდება, რაც ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში ვაშლის ბალების ინტენსიურად გაშენებით არის გამოწვეული. ბოლო წლებია რუსეთის ხელსისუფლება როგორც ფინანსურად, ისე ახალი ტექნოლოგიებით – მოსავლის ასაღები და გადასამუშავებელი ტექნიკით ფერმერებს აქტიურად ეხმარება. ამავე დროს ჯერჯერობით რუსეთი ვაშლის უმსხვილესი იმპორტიორია, სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად იქ 1-1,2 მილიონი ტონა ვაშლი შეფის.

ჩვენი მეზობელი თურქეთიც ვაშლის მხხვილი მწარმოებელია. არსებული პროგნოზით წლებული ამ ქვეყანაში ვაშლის წარმოება 7%-ით უნდა გაიზარდოს. თურქული ვაშლის ძირითადი მომხმარებელი ერაყია.

სპეციალისტების პროგნოზით, საქართველო მასშტაბებიდან გამომდინარე ბაზრის სერიოზული მოთამაშევერას დარღვება, მაგრამ მის ეკონომიკაში ვაშლის ინდუსტრიას ღირსეული ადგილი უნდა ეკავოს. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში საშუალოდ ყოველწლიურად 60-70 ათასი ტონა ვაშლი იწარმოება (მო-

ვაშლის ძირითადი მთარმოვებელი ქვეყნები ათასი ტონა

	2010/11	2011/12	2012/13
წარმოება	62318	66500	67852
ჩინეთი	33263	35985	38000
ევროკავშირი	10886	12069	11297
აშშ	4174	4224	4200
თურქეთი	2500	2700	2900
ინდოეთი	1936	1750	1750
ჩილე	1431	1360	1310
ავსტრალია	266	270	280
არგენტინა	1040	860	1030
ბრაზილია	1276	1220	1190
რუსეთი	910	1124	1210
უკრაინა	896	1050	1050
აზერბაიჯანი	204	200	200
საქართველო	64,3	45,0	68,6

სავლიანობა კლიმატური პირობების შესაბამისად მერყეობს).

ვაშლის ხარმოება საქართველოს რეგიონების მიხედვით – ათასი ტონა (2012- 2013წ.)

	2012	2013
იმერეთი	3,7	2,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4,6	5,9
შიდა ქართლი	25,2	44,1
ქვემო ქართლი	2,0	1,2
სამცხე-ჯავახეთი	1,6	4,2
დანარჩენი რეგიონები	7,9	10,6

ერთ ჰექტარზე ვაშლის ბალების მოსავლიანობა ევროპაში 25-35 ტონას შეადგენს, საქართველოში საშუალო მაჩვენებელი 2-3-ჯერ უფრო ნაკლებია, რაც მოძველებული, ნაკლებადმოსავლიანი ვაშლის ჯიშებისა და ამორტიზებული ბალების შედეგია. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უხევმოსავლიანი, ახალი ჯიშების გაშენებით საქართველოს რამდენიმე წელიწადში შეუძლია ამ დარგში ვითარება გამოიასწოროს.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოს 400-500 ათასი ტონა ვაშლის ნარმოების პოტენციალი აქვს.

მსოფლიო ბაზარზე დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნილებით ვაშლის შემდეგი ჯიშები სარგებლობს: Golden Delicious, შემდეგ Gala, Jonagold-ი, Red Delicious და სხვები.

ბოლო რამდენიმე წელიწადია ევროპიდან საქართველოში ამ ჯიშების ინტენსიურად შემოტანა და გამრავლება დაიწყეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბალები ძირითადად შიდა ქართლში, გორისა და ქარელის რაიონებში შენდება.

ახალი ტექნოლოგიებით ვაშლის ბალის გაშენება საკმარიდ ხარჯიანი და შრომატევადი საქმეა.

შპს „ივერიას“ გორის რაიონის სოფელ ძევერაში ხეხილის ბალი 17 ჰექტარზე აქვს გაშენებული. 2 ჰა. შავი ქლიავია დარგული, 11 ჰექტარი M-106 – ნახევრად ძლიერ საძირეზე გამოყვანილი ვაშლის ბალს უჭირავს, ხოლო 4 ჰა-ზე. M-9 – ინტენსიური ტექნოლოგიით გამართული ვაშლის ბალია, სადაც რამდენიმე ჯიშია ჩაყრილი. ბალი სპეციალურად რკინის საყრდენებზე ვაზისებურადა გაშენებული წვეთოვანი სარწყავი სისტემით, რაც ვაშლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე სისტემაა. ასეთი ტექნოლოგიით გაშენებული ვაშლი მეორე წელს ვე ისხამს ნაყოფს, მესამე წლიდან უკვე მოსავალს იძლევა, ხოლო მეოთხე-მეხუთე წელს სრულ მსხმოიარობაში შედის.

გოგიტა შერმადინი დიდი ხანია მებალეობას მისდევს, ბალის გაშენების ავან-ჩავანი და მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები უცხოელი დონორების დახმარებით შეისწავლა, რამდენჯერმე ევროპის ქვეყნებშიც გაიარა სპეციალური ტრენინგი, კარგი თეორიული ცოდნა შეიძინა, კარგ სპეციალისტზე კი მოთხოვნაც შესაბამისია. სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს იგი შპს „ივერიას“ დამფუძნებლებმა და იგი დღეს კომპანიის მთავარი მენეჯერია და მისი მითითების გარეშე ბალში არაფერი ხდება.

რკინის შპალებზე აკრულ ვაშლის ბალის ახალშენს ბოლო არ უჩანს, ბატონი გოგიტა შერმადინი გვიწევს მეგზუ-

რობას. შვეიცარიული კომპანია „სინჟენტას“ საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ზურაბ ლოლაძე ყურადღებით აკვირდება ვაშლის ფოთლებს.

ვაშლის ნერგები წლეულს გაზაფხულზე ჩაყარეს, ზოგიერთს უკვე ნაყოფიც აქვს გამოტანილი.

იგი ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო მცენარეთა დამცველია. პროფესიულად აფასებს ყველაფერს, ხშირად უწევს კონსულტაციებს ფერმერებს და ეხმარება პრობლემების გადაწყვეტაში.

ძალან ბევრი უხარისხო, გაურკვეველი წარმომავლობის პესტიციდები შემოდის ქვეყანაში, არავინ აკონტროლებს, ვისაც რა უნდა შემოაქვს, რაც ხშირად ფერმერებს პრობლემებს უქმნის. „სინჟენტას“ წნობილი ევროპული კომპანიაა, მის მიერ წარმოებული პრეპარატები ეფექტური და მაღალი ხარისხისაა, ბუნებრივია, ჯენერიკებთან შედარებით ძვირიც ღირს, თუმცა „სინჟენტას“ მცენარეთა დაცვის სისტემების – პრეპარატების გამოყენების შემთხვევაში შედეგი გარანტირებულია.

ბატონი გოგიტა დროდადრო ბატონ ზურაბ ლოლაძის კითხვებს პასუხისმგებელს, სასაუბროდ მე უფრო მეტი დრო მაქვს, მაინცდამაინც ენაწყლიანი მოსაუბრე არ არის, თუმცა კითხვებზე ლაკონურ, ამომწურავ პასუხს მცემს.



– რა ჯდება ერთი ჰექტარი ასეთი ბალის მოვლა? – ვეკითხები გოგიტას.

– ახლადგაშენებულ ბალს ნაკლები მოვლა სჭირდება, მსმხმოიარე ბალი – უფრო მეტი, გააჩნია როგორი ამინდებია, რა დაავადება ჩნდება, რა ნამალს ვიყენებთ, აი „სინჟენტას“ სქემით ერთი ჰექტარი ბალის მოვლა 800-900 ლარამდე ჯდება.

– ინტენსიური ტექნოლოგიით, წვეთოვანი სარწყავი სისტემით, საყრდენებითა და სხვა მოწყობილობებით ერთი ჰექტარი ბალის გაშენება ძვირია აღბათ.

– დაახლოებით 20000 ლარამდე ჯდება, თუმცა ბიზნესის თვალსაზრისით იგი ძალიან მომგებიანია. მეორე წლიდან უკვე ისხამს, მესამე წლინაც სრულ მსხმოიარობაში შედის, მე-5 წლინაც დანახარჯი მოთლიანად ანაზღაურებული აქვს და სუფთა მოგებას იძლევა. ჰექტარზე მოსავლიანობა 60-70 ტონაა. საშუალო მოსავალი 40-50 ტონა ნორმალურია.

– ბადში რამდენი ჯიშის ვაშლია გაშენებული?

- აქ სულ 10 ჯიშია: „ფუჯი“, „გრანისსმიტი“. „გოლდენ“, „გალა“, „გოლდენ დელიშესი“ და „გოლდენ გიბსონი“, „ბრაიბერნი“... აქ ზუსტად ის ჯიშებია ჩაყრილი, რომელზეც ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. რაც ჩამოვთვალე, ყველა სარისხიანი, გემრიელი ვაშლია და კარგადაც იყიდება.

– ძველი, ტრადიციული ჯიშებზეც არის მოთხოვნა?

- ჩვენ არც გვაქვს და აღარც არის მოთხოვნა, უფრო თანამედროვე ჯიშებს ენიჭება უპირატესობა როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე.

– 2 ჰექტარი შეა ქლიავს უჭირავსო...

- შავ ქლიავზე ადგილობრივ ბაზარზე დიდი მოთხოვნაა. ფასიც ნორმალურია – 1-1,5 ლარი, ზოგჯერ 2 ლარზეც ადის, სეზონს გააჩნია. ეს საბითუმო ფასია. ვაშლის საბითუმო ფასი 1-1,8 ლარამდე მერყეობს.

- ინტენსურ და ნახევრად ძლიერ საძირეზე ბალების გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია რამდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან?

- M9-ის გაშენება M-106-ის გაშენებასთან შედარებით ცოტა შრომატევადია, სამაგიეროდ მომდევნო წლებში მისი მოვლა ძალიან იოლია, მოსავლის აღება, შენამვლა დიდ შრომას არ ითხოვს. გაცილებით მეტ მოსავალს იძლევა და უფრო მომგებიანია.

– რამდენი ძირი ირგვება ჰექტარზე?

- M9 ჰექტარზე ირგვება 2000 ძირი, ხოლო M-106-ზე ნახევრად ძლიერი 600 ძირი.

ინტენსიური ტექნოლოგიით ბალის გაშენება უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ ორჯერ და მეტ მოსავალს იძლევა, შესაბამისად მომგებიანიცაა.

– სად ყიდით ვაშლს?

- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე, მოთხოვნა დიდია, ოღონდ პროდუქცია მაღალხარისხოვანი უნდა იყოს.

- ითვისებს ადგილობრივი ბაზარი აქ მოწეულ პროდუქციას?

- როგორც ჩანს ითვისებს, ჯერჯერობით ახალი ბალები, სადაც თანამედროვე ჯიშის ვაშლია გაშენებული ბევრი არ არის, თანაც ახალ ჯიშებზე მოთხოვნა უფრო, რადგან ტრადიციულ ჯიშებთან შედარებით გემოვნური თვისებები გაცილებით უკეთესია და მომხმარებელი უპირატესობას მათ ანიჭებს.

- რეგიონში არსებობს გადასამუშავებელი სანარმოები, სადაც ვაშლის ჩაბარება შეიძლება?

- გორში არის ხილის გადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც მეორეხარისხოვან ხილს იბარებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ჩასაბარებელი არაფერი გვექნება, რადგან ამ ბალებში მეორეხარისხოვანი ვაშლი ფაქტობრივად არ იქნება. ახლა ნითელი ვაშლი „გალა“ შემოვა, რომელზეც დიდი მოთხოვნაა მეზობელ ქვეყნებში.

- რამდენ ჰექტარზე გაქვთ ვაშენებული ეს ჯიში?

- წითელი ვაშლი „გალა“ 3 ჰექტარამდე ფართობზე გვაქვს ვაშენებული. ძალიან კარგი ჯიშია, პოპულარული ვაშლია.

– ადგილობრივ ბაზარზე იყიდება?

- ადგილობრივ ბაზარზე კი იყიდება, მაგრამ უფრო დიდი მოთხოვნაა აზერბაიჯანში, ძირითადად იქ გადის. გადის უკრაინაში. უკვე რუსეთშიც დაიწყეს ვაშლის გატანა.

- რეგიონში, ვთქვათ გორის რაიონში არის მოწესრიცხებული ინფრასტრუქტურა, თანამედ-

როვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასაწყობე მეურნეობები, სადაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ხილის ტექნოლოგიური პირობების შესაბამისად შენახვა?

- გორში არის ისეთი მეურნეობა, რომლის დაქირავება ფერმერებს შეუძლიათ, თუმცა ჩვენ საკუთარი მეურნეობის ამენებას ვაპირებთ, პროექტი მზად არის, მალე დაფინანსების საკითხიც ვადაწყდება.

– დიდი მოცულობის მაცივრის აგებას აპირებთ?

- ამჯერად მისი მოცულობა 300 ტონაზე იქნება გათვლილი, სადაც შესაძლებელი გახდება აქ შენახულმა ხილმა თვეების განმავლობაში ხარისხი არ დაკარგოს. თუ მოსავლის აღების პერიოდში კილოგრამი ვაშლი 1-1.5 ლარი ლირს, გაზაფხულისთვის ფასი უკვე 40-50%-ით იზრდება, რაც ფერმერისათვის მნიშვნელოვანი მოგებაა.

– რამდენი კაცია დასაქმებული მეურნეობაში?

- ჩვენთან ძირითადად სეზონური სამუშაოებია, საშუალოდ წელიწადში ყოველთვიურად 5-6 კაცი მაინცაა დასაქმებული, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი 500 ლარს აქარბებს.

– გაფართოებას თუ გეგმავთ?

- ბუნებრივია! როგორც გითხარით სასაწყობე მეურნეობის მშენებლობა დაწყებული გვაქვს, ასევე დავიწყეთ სანერგე მეურნეობის შექმნა, ბალის ფართობის გაზრდა-საც ვფიქრობთ, ეს მით უფრო გაგვიადვილდება, როცა ჩვენი ნერგი გვექნება.

– რა დირს ერთი ძირი ნერგი?

- ერთწლიანი ნერგი 5 ლარი ლირს, ორწლიანი – 7.

– მოთხოვნა არის ნერგებზე, იყიდება, შენდება ხეხილის ახალი ბალები?

- რასაკვირველია, მოთხოვნა დიდია, ქარელის და გორის რაიონებში ხეხილის ბალები ინტენსიურად შენდება, წელიწადში 10-15 ჰექტარზე.

ვაშლისა და ქლიავის ნერგებზე დიდი მოთხოვნილებაა.

- მავნებლები, გვალვა, არამდგრადი ამინდები არ გაზარდებთ?

- ინტენსიური ტექნოლოგიით ვაშენებული ბალისათვის გვალვა, არამდგრადი ამინდი, მავნებელი ნაკლებად დამაზიანებელია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სეტყვაა, რომელსაც ვერაფრით ვშველით. გორისა და ქარელის რაიონებში რამდენიმე სოფელში მოსულმა სეტყვამ მთლიანად გაანადგურა ბალები და მოსავალი. ახლა გაუსაძლია გვალვა, ბოლო წლების განმავლობაში ამინდები საკმაოდ არაპროგნოზირებადი გახდა.

მას





მედაფნეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. დაფნის ძირითად სასაქონლო პროდუქციას წარმოადგენს მშრალი ფოთოლი, რომელსაც სურნელოვანი ეთეროვანი ზეთის შემცველობის გამო ფართოდ იყენებენ: კვების მრეწველობაში, საკონდიტრო წარმოებაში, პარფიუმერიაში, კოსმეტიკურაში და სხვა დარგებში. ეს გამოწვეულია მით, რომ დაფნის ფოთოლში არის სასიამოვნო სურნელოვანი და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: ცინეოლი, პინენი, ლიმონენი, კომფენი, ფელანდრენი, საბინენი, მირცენი და სხვა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლში, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიულ ზონაში შემორჩენილია დაფნის ბუნებრივი ტყები, რაც იმის დამადასტურებელია, რომ იგი საქართველოს აბორიგენული კულტურაა. ამ ტერიტორიებზე არის დაფნის წარმოებისათვის საუკეთესო ნიადაგობრივი პირობები. ამით იყო გამოწვეული, რომ 1950-1965 წლებში დაფნის პროდუქციიდან მიღებულ შემოსავალს, რომლის ძირითადი მომხმარებლები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები იყო, მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა საქართველოს ეკონომიკის ძლიერებაში, მაგრამ საბჭოთა კავშირის იმ პერიოდის ზოგიერთ ხელმძღვანელთა ეკონომიკურად გაუმართლებელი გადაწყვეტილების შედეგად, დაფნის საზღვარგარეთიდან შემოტანით, ქართული წარმოების დაფნა გასაღების ბაზრის გარეშე დარჩა, რის

დაფნის წარმოება საქართველოში

სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების შემთხვევაში აღგილი დაფნის კულტურას უზირავს, რომელსაც მრავალმხრივი სახალხო-სამუშაო მიზნებით გამოიყენება.

გამოც შემდგომ პერიოდში საქართველოში დაიწყო მედაფნეობის რენტაბელობის დაკვეთება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მედაფნეობისადმი ყურადღების შესუსტებამ გამოიწვია მისი ძირითადი პროდუქციის – შშრალი ფოთოლის ხარისხის დაცემა და მისი თვითდირებულების გაზრდა. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ჩვენთან დაფნის წარმოების კონკურენტუნარიანობას, აფერხებს საზღვარგარეთ გატანილი პროდუქციის რეალიზაციას და ადაბლებს მედაფნეობის რენტაბელობას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მსოფლიოში დაფნის მშრალი ფოთოლის და ეთეროვანი ზეთის წარმოება საგრძნობლად ჩამორჩება მასზე მოთხოვნებს, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, რაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების სამომავლო პერსპექტივებში უნდა იყოს გათვალისწინებული.

დღეისათვის, როდესაც საქართველოში ძირფესვიანად შეიცვალა აგრარული პოლიტიკა, საჭიროა მეურნეობრიობის პროგრესული ფორმების შერჩევა-დანერგვა, პროდუქციის თვითდირებულების შემცირება, ბაზრის კონიუნქტურის სწორად განსაზღვრა და სხვა.

ზემოთაღნიშნული მიმართულებების შესაბამისად საჭიროა მედაფნეობაშიც მოხდეს შესაბამისი ცვლილებები, რაც განვითარების დიალექტიკის თვალსაზრისით ობიექტური მოვლენაა. მედაფნეობის შემდგომი განვითარებისა და რენტაბელობის ამაღლების მიზნით საჭიროა შემდგომი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება.

– დაფნის კულტურის მაღალმოსავლიანი, ადვილადმექანიზებადი და მა-

ლალეთერზეთოვანი ჯიშების წარმოებაში დანერგვა;

- დაფნის ძირითადი პროდუქციის – მშრალი ფოთოლის წარმოების რაციონალური ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიის დამუშავება და წარმოებაში დანერგვა;

- ტექნოლოგიური ოპერაციების ოპტიმალური აგროტექნიკის და რეჟიმების შერჩევა;

- მიმებ შრომატევადი ოპერაციების მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური გადაწყვეტა და მათი პრაქტიკული განხორციელება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამციროთ დაფნის პროდუქციის თვითდირებულება და მედაფნეობა კვლავ გავხადოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მაღალრენტაბელურ დარგად.

ცნობილია, რომ დაფნის ფოთოლში ეთერზეთების შემცველობა 0,08%-დან 2,00%-მდე მერყეობს, რითაც მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა, დაფნის პლანტაციის გასაშენებლად მაღალი რაოდენობით ეთერზეთების შემცველი ფორმები გამოარჩიოს. სამეცნიერო და ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში გვხვდება კეთილშობილი დაფნის როგორც ველურად გავრცელებული ფორმები, ასევე კულტურული ნარგავები, რომლებიც მრავალფეროვანი ფორმებით ხასიათდება.

სუბტროპიკულ რაიონებში გამოვლენილია დაფნის მცენარის 10 სხვადასხვა ფორმა, რომლებიც ხასიათდებიან შემდეგი თავისებურებით:

1. *Lancifolia*, რომელიც ხასიათდება ვიწრო ფოთოლებით, კიდეები ტალღისებური, სიგრძე 8-10 სმ, სიგანე 2,5 სმ-მდე, წვერო წაგრძელებული, მახ-

ვილბოლოიანი, ყუნწის სიგრძე 0,8-1 სმ-მდე. აქვთ მუქი მწვანე ფერი. ბუჩქი კომპაქტურია. ყვავილობა უხვი. ნედლი ფოთლის საშუალო მასა 0,7 გ. გამოირჩევა მაღალი არომატით. ნაყოფი წვრილია, კონუსური, მნიუფერდება ნაადრევად ოქტომბრის თვეში. დაფნის ასეთი ფორმა გავრცელებულია სოჭის, ადლერის და დაგომისის რაიონებში.

2. *Latifolia*. ფოთლები ფართო და გრძელი, მკვრივი, გვერდები მსუბუქად დატალული, მახვილი წვერით, ფოთლის ფერი მუქი მწვანე. ყუნწის სიგრძე 0,8 სმ-მდე. ბუჩქი ხშირფოთლოვანი სუსტად გაშლილი. ფოთლის საშუალო მასა 0,83 გ.

3. *Undulata*. ფოთლები გრძელი ლანცეტისებრი, სიგრძით 10-12 სმ-ია, სიგანით 3-3,5 სმ. ყუნწის სიგრძე 0,8 სმ. ფოთლის კიდეები ძლიერ ტალასებური, წვერო წაგრძელებული და მახვილი, მცენარე კომპაქტურია, ხშირფოთლიანი, ნედლი ფოთლის მასა 0,85 გ. ეს ფორმა გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით სოჭის მიდამოებში.

4. *Mikrophylla*. ფოთლები შედარებით პატარა, სიგრძით 5-7 სმ-მდე, სიგანით 2-3 სმ. ყუნწის სიგრძე 0,8 სმ. ფოთლის ფერი ღია მწვანე. ფოთლის ფორმა ლანცეტისებრია, კიდეები ბრტყელი. ფოთლის საშუალო მასა 0,35 გ. ბუჩქის ვარჯი კომპაქტურია, ყვავილობა უხვი, ასეთი ფორმა იშვიათად გვხვდება.

5. *Ovalifolia*. ფოთლები გრძელი ოვალისებრია, ზოგჯერ მომრგვალებული, მახვილი წვერით. დაფნის ეს ფორმა აღნერილია გ. ვოლოშნის მიერ ჯერ კიდევ 1959 წელს, ფართოდ გავრცელებულია ყირიმში და ნოდებულია მრავალფოთლოვან ფორმად. ფოთლის სიგრძე 10-13 სმ-ია, სიგანე 6-7 სმ; ფოთლის კიდეები ოდნავ ტალასებული, წვერო ოდნავ წამახვილებული. ფოთლის ფერი მუქი მწვანეა. ყუნწის სიგრძე 1,3-1,5 სმ. ნედლი ფოთლის მასა 1 გ. ვარჯი გაშლილია, ნათელია. ყვავილები განლაგებულია ამონაყარის მთელ სიგრძეზე, გვხვდება იშვიათად.

6. *Salicifolia*. ფოთლები წვრილი და გრძელი წაგრძელებული წვერით, ფოთლის კიდეები ბრტყელი, ფოთლის ფორმა წაგავას ევგალიბტის და ზეთის ხილის ფოთლებს, საშუალო სიგრძე 10-11 სმ-ია, სიგრძე 1,5-2,5 სმ. ფოთლის ფერი ღია მწვანეა,

ყუნწი 0,5-0,6 სმ სიგრძისაა. ნედლი ფოთლის საშუალო მასა 0,57 გ. მცენარის ვარჯი გაშლილია, საშუალო სიხშირის შეფოთვლით, გვხვდება იშვიათად.

7. *Lagustifolia*. ეს ფორმა აღნერილია ჯერ კიდევ 1938 წელს ფ. კალაიდოს მიერ. ფოთლები მომრგვალებული-კვერცხისებრი ფორმისაა, კიდეები ბრტყელი, ფოთლის წვერო წამახვილებულია. ფოთლის საშუალო სიგრძე 8,3 სმ-ია, სიგანე 4,0 სმ, ფერი მუქი მწვანეა, ფოთლის ფირფიტა ხისტია. მცენარის ვარჯი კომპაქტურია, ხშირი ფოთლის საშუალო მასა 0,73 გ.

8. *Pallidus*. ფოთლები ნათელი მოყვითალო-მწვანე ფერის, ზოგჯერ თითქმის ყვითელია, აღნერილია ე. სვანიძის მიერ 1951 წელს, ფ. კალაიდოს მიერ 1938 წელს და მ. ვოლოშნის მიერ 1959 წელს. ფოთლის ფირფიტა შედარებით დიდია, ძალიან თხელია, მოგრძო ოვალისებრია, კიდეები ტალლისებრია, სიგრძე 10-13 სმ-ია, სიგანე 4-5 სმ. ყუნწის სიგრძე 0,7 სმ-ია. ვარჯი გაშლილია. ნედლი ფოთლის მასა 0,74 გ. მცენარე დეკორატიულია, გვხვდება იშვიათად.

9. *Craindifolia*. აღნერილია ე. სვანიძის მიერ 1951 წელს. მცენარის ფოთლის სიგრძე 6-12 სმ-ია, ამ ფორმის მცენარე ადლერის მიდამოებში ვ. ვორონცოვის მიერ არის შერჩეული, რომლის ფოთლის სიგრძე 16-18 სმ-მდეა, ხოლო სიგანე 6-7 სმ-ია, ფოთლის კიდეები ბრტყელია, ზოგჯერ ფოთლის სიგრძე 25 სმ-ს აღნევს, სიგანე კი 10-11 სმ-ია. ყუნწის სიგრძე 1,5 სმ-ია, ფოთოლი ღია მწვანე ფერისაა. ფოთლის საშუალო მასა 1,86 გ-ია. მცენარის ვარჯი გაშლილია.

10. *Ultimo micropeltis*. ძლიერ წვრილ-ფოთლოვანი ფორმაა. ფოთლის ფერი მუქი მწვანე, სიგრძე 2-3 სმ, სიგანე 0,8-1,5 სმ; კიდეები ოდნავ ტალლისებურია. პლანტაციაში გვხვდება ძალზე იშვიათად. ყვავილი ღია ყვითელი ფერისაა, ყვავილბს სხვა მცენარებზე ერთი კვირით ადრე, ნედლი ფოთლის მასა 0,17 გ-ია. სამეურნეო თვალსაზრისით ასეთი ფორმის მცენარეები არარაციონალურია, ვინაიდან ფოთ-

ლის კრეფა და დამუშავება მეტად შრომატევადია.

საქართველოს სუბტროპიკული მცენარების სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარე-თანამშრომელთა მიერ ბოლო პერიოდში მცენარეთა შერჩევის მეთოდით მიღებულია დაფნის მცენარის ახალი ფორმა, რომლის ფოთლის სიგრძე 12-14 სმ-ია, სიგანე - 5 სმ. ფოთოლი თხელი - სისქით 0,2 მმ, ხოლო ფოთოლში ეთერზეთების რაოდენობა აღნევს 2,0%-ს. ამავე დროს მისი ბუჩქი ხასიათდება ხშირი დაფოთვლით და სიმეტრიულობით, მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების ტექნიკოლოგიური პროცესების მექანიზირების საშუალებას იძლევა.

დღეისათვის დაფნის მოვლა-მოყვანის აგროტექნიკით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებებიდან საუკეთესო შემთხვევაში მექანიზირებულია: მცენარეთა შორის (რიგში) ნიადაგის გაფხვიერება, შხამ-ქიმიკატებით შენამვლა, სასუქების ტრანსპორტირება და ნიადაგში შეტანა, ხოლო ისეთი რთული და შრომატევადი ოპერაციები, როგორიცაა: დაფნის ბუჩქების მძიმედ გასხვლა, მოსავლის აღების ოპერაციები (დაფნის ტოტების აქრა, შეკონვა, მშრალი დეროებიდან ფოთლის მოცილება, ფოთლების დახარისხება და სხვა) ხელით მიმდინარეობს.

მედაფნეობაში მექანიზაციის დაბალი დონე აისახება წარმოებული ფოთლის თვითლირებულებაში, რაც განპირობებულია იმითაც, რომ არსებული დაფნის პლანტაციები გაშენებულია არასამექანიზაციონური სქემით, კერძოდ იგი გაშენებულია ვიწრო მწკრივებად და ფერდობ ადგილებზე. ამასთან დაფნის ბუჩქებიდან ძირითადად იჭრება ორნლიანი ნაზარდი ლეროები, რომლებიც დიდი ზომების



ნებულია არასამექანიზაციონური სქემით, კერძოდ იგი გაშენებულია ვიწრო მწკრივებად და ფერდობ ადგილებზე. ამასთან დაფნის ბუჩქებიდან ძირითადად იჭრება ორნლიანი ნაზარდი ლეროები, რომლებიც დიდი ზომების

გამოძნელად ექვემდებარება მექანიზაციას.

საქართველოში კეთილშობილი დაფუნის ფოთლის ნარმოების ძირითადი შესასრულებელი პერაციებიშემდეგია: ორგანული სასუქის (ნაკელი 50 ტ/ჰა, ან ტორფისა და ნაკელის კომპოსტი 80 ტ/ჰა.) შეტანა, წელიწადში ერთხელ; მინერალური სასუქების შეტანა (ფოსფორი 0,8 ტ/ჰა. კალი-

I. ინტენსიური ტექნოლოგია - დაფუნის პლანტაციებში უდიდესი მოსავლისა და უმაღლესი ხარისხის ფოთლისა და ეთეროვანი ზეთის მიღების ტექნოლოგიური სისტემა.

მაღალი ტექნოლოგია დაფუძნებულია დაფუნის საუკეთესო ჯიშების გამოყენებაზე, მცენარის კვებისა და მოვლის საუკეთესო პირობების შექმნაზე, რომელიც განაპირობებს



უმი 0,6 ტ/ჸა 2 წელიწადში ერთხელ), რიგთაშორისებში ნიადაგის საზამთრო გადაბარვა (ორგანული სასუქების შეტანით ტარდება 2 წელიწადში ერთხელ 16-18 სმ სიღრმეზე), მინერალური სასუქების დაქუცმაცება და შეტანა, აზოტოვანი სასუქების შეტანა ერთდროული კულტივაციით, რიგთაშორისების კულტივაცია (წელიწადში 4-ჯერ), სიდერატების თესვა, ფუნგიციდებით შენამვლა (წელიწადში 3-ჯერ), შპალერული და ბუჩქისებრი პლანტაციების მძიმე გასხვლა, მოსავლის ალება ბუჩქისიდან (ერთი ან ორნლიანი ტოტების აჭრა), მოჭრილი ტოტების შეკონვა, კონების გატანა პლანტაციიდან და მათი დატვირთვა ავტომობილის ძარაზე, კონების ტრანსპორტირება საშრობ ფარდულებამდე, კონების აწონვა და საშრობ ფარდულებში შეტანა, შრობის პერიოდში კონების შებრუნვა (2-3-ჯერ), მშრალი ლეროებიდან ფოთლების მოცილება, ფოთლების დახარისხება და ნარჩენი დეროების გამოტანა ფარდულიდან და მათი დაწვა, წყალსანრეტი არხების განმენდა (3-ჯერ), რიგთაშორისების გათიბვა და სხვა.

ზემოთ მითითებული ოპერაციები შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ტექნოლოგით:

მოცემული ჯიშის პოტენციალის 90%-ის რეალიზაციას. პლანტაციის ყოველწლიური მოსავლიანობა ერთ პექტარზე საშუალოდ შეადგენს 27000-30000 კგ-ს ნედლი მასის სახით, 8000-9000 კგ-ს მშრალი ფოთლის სახით;

II. ინტენსიური ტექნოლოგია - დაფუნის პლანტაციებში მაღალი მოსავლისა და ხარისხოვანი ფოთლის მიღების ტექნოლოგიური სისტემა.

ინტენსიური ტექნოლოგია დაფუძნებულია მაღალმოსავლანი ჯიშის გამოყენებაზე, მცენარის კვების, მავნებლებისა და სარეველებისაგან დაცვის პირობების შექმნაზე, რომელიც განაპირობებს გამოყენებული ჯიშის პოტენციალის 70%-ის რეალიზაციას. პლანტაციის ყოველწლიური მოსავლიანობა ერთ პა-ზე იქნება 14000-17000 კგ ნედლი მასა; 4000-5000 კგ. მშრალი ფოთლოლი.

III. ნორმალური ტექნოლოგია - დაფუნის პლანტაციებში ნორმალური მოსავლისა და ფოთლის მიღების ტექნოლოგიური სისტემა დაფუძნებულია აგროლანდშაფტისა და ნიადაგის ნაყოფიერების მაქსიმალურ გამოყენებაზე, რომელიც განაპირობებს მცენარის პოტენციალის 40%-ის რეალიზაციას. პლანტაციის ყოველწლიური მოსავლიანობა პა-ზე

იქნება 7000-10000 კგ. ნედლი მასა; 2000-3000 კგ. მშრალი ფოთლოლი.

როგორც ზემოთ აღვნიშეთ, დაფუნის ნარმოება დღეისათვის საქართველოში არარენტაბელურია, ვინაიდან მისი შრომატევადი ტექნოლოგიური ოპერაციების მიუხედავად პროდუქციის ღრმებულება ადგილზე დღეისათვის ძალიან დაბალია. დაფუნის მიმღები სანარმოები მშრალ პროდუქციას ფოთლების სახით ღებულობენ დაბალ ფასებში (2-2,5 ლარი/კგ.), რაც, რა თქმა უნდა, სტიმულს უკარგავს დაფუნის მნარმოებელ ფერმერებს.

მედაფნების რენტაბელობის ამაღლების მიზნით საჭიროა მშრალი ფოთლის ნარმოების ენერგორესურსის დამზოგი ახალი უნარჩენო ტექნოლოგიასა და მისი განხორციელებისათვის საჭირო მანქანათა კომპლექსის დამუშავება და გამოყენება. აღნიშნული სამუშაოები ნაწილობრივ შესრულებული იქნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამჟამად საჭიროა მისი პრაქტიკული განხორციელება.

სპეციალიზებული მანქანათა კომპლექსის შექმნისა და მისი რაციონალური გამოყენების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს ნარმოადგენს ადვილად მექანიზებული აგრონომიული ფონის შექმნა [6. ებანოძე, „დაფუნის ნარმოების მექანიზაცია“. ქ. ქუთაისი, 2007წ.] ე. ისეთი პლანტაციების გაშენება, რომლებშიც შესაძლებელი იქნება ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების გამოყენება. ამ პირობებს საფუძველი უნდა ჩაეყაროს ახალი პლანტაციების გაშენების დროს. კარგ შედეგს მოგვიტანს პლანტაციების შპალერული წესით გაშენება, რიგთაშორისებრი 1,8-2 მ. არსებულ, ძველ პლანტაციებში საჭიროა ჩატარდეს რეკონსტრუქცია, ხოლო გადაბერებულ პლანტაციებში მიზანშენილია მძიმე გასხვლის ჩატარება, რაც ამავე დროს ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ამაღლებას.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი:
ნაშრობის მარაგია, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი;
გადაბერების მარაგია, ტექნიკის მეცნიერების აკადემიური დოქტორი

ვაგრძელებით საქართველოს სოფლის მიურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მ0-ირ მომზადებულ „საკვები კულტურების აგრონომიური გამოყენების“ პრეზენტაცია.

საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის ებროცესები

გაგრძელება, დახმარებელი № 7(39)

ნაცილი II

თესვის ცესები, დრო და მომები

მრავალწლოვანი ბალახები ითესება როგორც სუფთა, ისე ნარევის სა-სით საფარევეშ და უსაფაროდ.

ზაფხულსა და ადრე შემოდგომაზე დათესილი ბალახები ისე კარგად ვითარდება, რომ ზოგჯერ დაზამთრებამდე ითიბება, ამიტომ მრავალწლოვანი ბალახების და მათი ნარევების თესვა უნდა წარმოებდეს უმეტესად ზაფხულის ბოლოს და ადრე შემოდგომაზე.

თუ წინამორბედი კულტურა დასარევლიანებულია და ბალახების თესვისათვის წინადაგის მაღალ დონეზე მომზადება ვერ ესწრება, მაშინ ეს ოპერაცია შეიძლება გაზაფხულისათვის გადავიტანოთ.

მრავალწლოვანი ბალახების თესვა ცალკეული ზონების მიხედვით წარმოებს შემდეგ ვადებში:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სარწყავებში ზღვის დონიდან 600-800 მ სიმაღლეზე – 1 აგვისტოდან 30 სექტემბრამდე; სამგორის, გარდაბნის ველებსა და მარნეულის, ბოლნისის ვაკეებზე – 20 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე; ტირიფონის, მუხრანის ველებსა და მდინარე მტკვრის ორივე მხარეს მცხეთის მიდამოებამდე – 10 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე; ახალციხის რაიონში წინამორბედი მოსავლის აღებიდანვე – 30 აგვისტომდე;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მშრალი რაიონების ურნებავებში, ზღვის დონიდან 600-800 მ სიმაღლემდე – ადრე გაზაფხულზე; ალაზნის, სამგორის, გარდაბნის ველებსა და მარნეულის, ბოლნისის ვაკეებზე – 20 მარტიდან 10 აპრილამდე; ტირიფონის, მუხრანის ველებსა და მდინარე მტკვრის ორივე მხარეს მცხეთის მიდამოებამდე – 1 აპრილიდან 20 აპრილამდე; ახალციხის რაიონში – 10 აპრილიდან 20 აპრილამდე;

გ) ტყის სარტყლის ზოლში და მთა-გორიან ტენიან რაიონებში – ადრე გაზაფხულზე, თოვლის აღებიდან 15 მაისამდე;

დ) მთის მდელოსა და მთის ტრამა-ლის რაიონებში – ადრე გაზაფხულზე, თოვლის აღებისთანავე 10 დღის განმავლობაში;

ე) დასავლეთ საქართველოს დაბლობის სარწყავა რაიონებში – 20 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე, ურნებავებში – 20 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე. საფარ კულტურაში მრავალწლოვანი ბალახები ითესება გაზაფხულზე, ხოლო საფარი კულტურა მისთვის დადგენილ ვადებში – 10-15%-ით შემცირებული ნორმით. თესვა უნდა მოწყობა დისკორებიანი ჩამთვებით აღჭურვილი სათესით მშრალ ამინდში, საფარი კულტურების გარდიგარდმო;

ბალახნარევის თესვა კომბინირებული სათესი მანქანით წარმოებს კომპონენტების თესლის ფორმის, წონის, ფხიანობის მიხედვით; შეიძლება ყველა ან რამდენიმე მარცვლოვანი ერთად აირიოს და ჩაიყაროს სათესის სათესლე ყუთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მარცვლოვნებიდათ პარკოსნები კომბინირებულ სათესში ცალ-ცალკე უნდა ითესებოდეს. სათესის სათესლე ყუთში ისინი ცალ-ცალკე ჩაიყრება და ორივე კომპონენტი საჭირო სიღრმეზე ჩაითესება. თესვის წინ და თესვის შემდეგ ფართობი სასურველია მოიტკეპნოს საგორავებით. ბალახის სპეციალური სათესი მანქანის უქონლობის შემთხვევაში თესვა ხორბლის უნივერსალური სათესი მანქანითაც შეიძლება ჩატარდეს. ამ ტიპის სათესით ბალახნარევების თესვის დროს პარკოსანი და მარცვლოვანი ცალ-ცალკე ითესება გარდიგარდმო

გავლით – ჯერ პარკოსანი და შემდეგ მარცვლოვნები. ნიადაგში უნდა ჩაითესოს ესპარცეტი 4-5 სმ სიღრმეზე, იონჯა, სამყურა და კურდლის ფრჩხილა – 2,0-2,5 სმ სიღრმეზე და მარცვლოვნები 0,5-1,5 სმ სიღრმეზე. ძლიერ დაქანებულ ფერდობებზე, სა-დაც სათესი მანქანების გამოყენება შეუძლებელია, თესვა უნდა ვაწარმო-ოთ ხელით; ხელით თესვისათვის გა-მოცდილი მთესველები უნდა გამოიყოს; მობნევით თესვის დროს თუ ხნული კარგად დაიფარცხა, თესვის წინ დატეკვნა საჭირო არ არის. თესვის შემდეგ მსუბუქი ფარცხი (“ზიგზაგები”) ან თვითნაკეთი ფარცხი უნდა გადატარდეს და შემდეგ საგორავით დაიტკეპნოს;

თესლის სიწვრილისა და თესვის მცირე ნორმების გამო სათესის გამო-თესვის ნორმაზე დაყენებისათვის რო-მელიმე ბალასტია საჭირო. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნას კარგად გადამწვარი ფხვიერი ნაკელი, ნახერი, ქვიშა ან მშრალი ფხვიერი მინა;

თესვის დამთავრებისათანავე წაკე-თი წყლის ნელი ნაკადის გაუზრუით ან დაწვიმებით უნდა მოირწყოს, ნიადა-გის სიმშრალის მიხედვით ჰექტარზე 1000-1500 კუბ.მეტრი წყალია საჭი-რო, დაწვიმების დროს კი ერთნახევარჯერ ნაკლები;

ბალახების თესლი უნდა იყოს კონ-დიციური და შემოწმებული. ერთ ჰექტარზე უნდა დაითესოს მრავალწლოვანი ბალახების პირველი კოლასის კონდიციური თესლი განსაზღვრული რაოდენობით.



აღნიშნული თესვის ნორმები აღებულია მწკრივად თესვისათვის. მობნევით თესვის დროს ნორმა უნდა გადიდეს 10-15%-ით. მცირე ნორმა აიღება – სარჩყავებისათვის და საკმაოდ ტენიანი რაიონებისათვის, დიდი ნორმა – ურწყავებისათვის და მშრალი რაიონებისათვის.

როდესაც მოკლე და გრძელვადიანი სათიბ-საძოვრების ბალახნარევში შედის ესა თუ ის სახეობა, როგორც რომელიმე ბიოლოგიური ჯგუფის ერთადერთი ნარმომადგენელი (მეჩერბუჩქიანი მარცვლოვნების, ან ფესურიანი მარცვლოვნების, ან პარკოსნების), მაშინ თესვის ნორმა აღებული უნდა იქნას გადიდებული, ცხრილის მეორე სვეტის მიხედვით; ხოლო თუ ბალახნარევში შედის ერთი და იმავე ბიოლოგიური ჯგუფის ორი და მეტი სახე, მაშინ თესვის ნორმა აღებული უნდა იქნას შემცირებული, ცხრილის მესამე სვეტის შესაბამისად;

მრავალწლოვანი ბალახები, როგორც წესი, ითესება წინა წლის მოსავლის თესლით, მაგრამ ბარის ზოგიერთ რაიონში თესლის დროზე აღების დროს შესაძლებელია ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე თესვა ახლად აღებული თესლით;

მრავალწლოვანი პარკოსანი ბალახების ფესვებზე ვითარდება კოურის ბაქტერიები, რომლებიც ჰაერიდან თავისუფალ აზოტს ითვისებენ. კოურის ბაქტერიების სწრაფი გამრავლებისათვის გამოყენებული უნდა იქნას თესლის ნიტრაგინით დამუშავება.

ნათესის მოვლა

აღმონაცენის მცირე დასარევლიანების შემთხვევაში საჭიროა მათი ხელით მარგვლა. მარგვლის დროს სარეველა მცენარები ფესვიანად ამოიგლივება და ნაკვეთიდან გაი-

თესვის მორმაგი საკვების თესლგრუნვებისა და მოქლევალიანი
სათიბ-საძოვრებისათვის (კბ/ჰა-ზე)

კულტურები	სულთა ნათესაბისათვის	გალახნარევი, როდესაც პიოლოგიური ჯგუფებიდან:	
		ერთი კომარებითი	ორი და მეტი კომარებითი
1	2	3	4
მეჩერბუჩქიანი მარცვლოვნები:			
მდელოს ტიმოთელა	8-10	6-8	4-5
მდელოს ნივანა	14-16	8-10	5-6
სათითურა	14-16	8-10	5-6
საძოვარი კონდარი	18-20	6-8	4-5
ფესურიანი მარცვლოვნები:			
უფხო შრიელა	20-25	10-12	6-8
მდელოს მელაკუდა	16-18	6-8	4-5
პარკოსები			
ლურჯი იონჯა	14-16	4-7	3-4
ყვითელი იონჯა	10-12	5-6	3-4
ესპარცეტი	100-120	50-70	40-50
წითელი სამყურა	14-16	6-8	4-5
ვარდისფერი სამყურა	14-16	4-6	3-4
თეთრი სამყურა	12-14	6-8	4-6

ზიდება. თუ ფართობი ძალიან არის დასარევლიანებული და გამარგვლის საშუალება არა გავაქს, მაშინ ნათესი უნდა ნაადრევად ნაითიბოს და განათიბი დაუყოვნებლივ გაიზიდოს;

ყოველი გათიბვის შემდეგ მოსავალი საჩქაროდ უნდა გაიზიდოს ნაკვეთიდან და საჭიროების მიხედვით გარდიგარდიმ 1-2 კვალად მსუბუქი ფარცხით ("ზიგზაგით") დაიფარცხოს. გათიბვის შემდეგ დაფარცხვა წამოზრდის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს, სარწყავებში დაფარცხვა მორწყვამდე ტარდება; საფარის კულტურის მოსავალი და

ყოველგვარი ანარჩენი სასწრაფოდ უნდა გაიზიდოს ნაკვეთიდან, ვინაიდან ნამჯგის გროვების 2-3 დღით დატოვება მნიშვნელოვნად აზიანებს ბალახს;

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აბრეშუმასთან ბრძოლას. ნათესი ხშირად უნდა იქნას დათვალიერებული და აღმოჩენილი კერები არსებული წესებით დაუყოვნებლივ მოისპოს. საერთოდ ბალახებში სარეველების მოსპობის მიზნით ფართოდ გამოიყენება შესაბამისი ჰერბიციდები;

მრავალწლოვანი ბალახების ნათესებზე პირველ ორ წელს ყოველგვარი პირუტყვისა და ფრინველის გაშვება და ძოვება დაუშვებელია. ხელოვნურ საძოვრებზე პირუტყვის ძოვება იჩქება მეორე ან მესამე წლიდან და ტარდება ნაკვეთმორიგეობითი წესით. პირუტყვის მოუწესრიგებელი და თავისუფალი ძოვება მინდვრებსა და საძოვრებზე სასტრიკად აკრძალულია;

მრავალწლოვანი ბალახების ნათესებზე ძლიერ ცუდად მოქმედებს რწყვის რეჟიმის დარღვევა. შეიძლება ითქვას, რომ კარგი აღმოცენების მიღება-შენარჩუნებისა და მაღალი მოსავალისათვის გადამწყვეტი როლი რწყვას ეკუთვნის. რწყვა უნდა ჩატარდეს დროულად ნიადაგის გამოშრიბამდე, დიდი სიფრთხილით. მორწყვის წესების დარღვევა იწვევს ბალახების ნათესების გამეჩერებას და ზოგჯერ დაღუპვასაც კი;

გრძელვადიან სათიბში სავეგეტაციო რწყვა მეტი რაოდენობით უნდა ჩატარდეს, ვიდრე მოკლევადიან სა-

თესვის მორმაგი მინდვრის თესლგრუნვებისა და მოქლევალიანი
სათიბებისათვის (კბ/ჰა-ზე)

კულტურები	სულთა ნათესაბისათვის	გალახნარევი, როდესაც პიოლოგიური ჯგუფები:	
		ერთი კომარებითი	ორი და მეტი კომარებითი
1	2	3	4
მეჩერბუჩქიანი მარცვლოვნები:	10-12	5-7	4-5
მდელოს ნივანა	14-16	10-12	6-8
სათითურა	14-16	10-12	5-7
მრავალსათიბი კონდარი	18-20	12-14	5-8
საძოვარი კონდარი	18-20	10-12	6-8
პარკოსები			
ლურჯი იონჯა	14-16	9-11	6-8
წითელი სამყურა	14-16	10-12	7-9
ესპარცეტი	100-120	65-75	40-50

თიბში. ყოველი გათიბვის შემდეგ ბალახები ერთხელ ირწყვება, მაგრამ მშრალ და გვალვიან ადგილებში დაზაფხულში, ქარების დროს, ბალახი თიბვათამორის საჭიროების მიხედვით დამატებით უნდა მოირწყოს.

მოსავლის აღება

მრავალნლოვანი პარკოსანი ბალახები სათივედ უნდა გაითიბოს ყვავილობის დაწყების ფაზაში, როცა თითო-ოროლა ყვავილი გამოჩნდება, მწვანე საკვებად კი უფრო ადრე-დაკორების დასაწყისში. მარცვლოვანი ბალახები უნდა გაითიბოს დათავთავების დროს, მწვანე საკვებად კი უფრო ადრე, როცა დამუხლებას დაამთავრებს. ბალახნარევი უნდა გაითიბოს იმ კომპონენტის მიხედვით, რომელიც ადრე შემოდის ზემოაღნიშნულ ფაზაში;

საკვები ბალახების უხვი მოსავლის მისაღებად მარტო ნიადაგის კარგი დამუშავება, თავის დროზე თესვა და მოვლა არ კმარა, საჭიროა ნათესები დაცული იყოს გაძოვებისა და დაზიანებისაგან, საძოვრად განკუთვნილ ფართობში შემოღებული უნდა იყოს ნაკვეთმორიგობითი ძოვება;

ბალახები თივად მოკლე და შემჭიდროებულ ვადებში უნდა ავილოთ. გრძელვადიანი სარგებლობის ხელოვნური საძოვრები, რომელთა ბალახნარი რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება, სარგებლობის პირველ ორ წელს სათიბად უნდა იქნას გამოყენებული, მაგრამ თუ ნათესი ძლიერია და პირველ წელს რამდენჯერმე გაითიბა და

ამავე დროს კორდიც კარგადა შეკრული, შეიძლება მეორე წელს პირუტყვის გაშვება საძოვრად მეორე ან მომდევნო გათიბვის შემდეგაც. საკვები ბალახები ჩვეულებრივ 4-6 სმ-ის სიმაღლე-



ზე ითიბება. ადგილობრივი პირობების მიხედვით ბალახი ერთი ან ორი დღე გამლილი ან ზოლებად (ღარეულად) შეგროვილი უნდა დარჩეს. თუ ბალახის მოსავალი დიდია, მეორე ან მესამე დღეს უნდა გადაბრუნდეს. ამის შემდეგ თივა იფორცხება და ბულულდება. თუ ბულულიდან აღებული თივის კონა გადაგრეხის დროს ტყდება, თივა მზადა დასადგმელად თივის მოფოცხვა, გადაბრუნება და დაბულულება ხდება უმეტესად დილით ან სალამოთი. ნათესი სათიბებიდან თივა მალე უნდა გაიზიდოს და დაიზინოს. 3-4 დღის დაცვიანების შემთხვევაში კი ბულულების ქვეშ ნამონაზარდი კვითლდება და კინძება, რაც მნიშვნელოვანად ამცირებს მოსავალს. საკვები თესლბ-

რუნვების მინდვრებზე და ხელოვნურ საზღვრებზე პირუტყვის ძოვება ნაკვეთმორიგეობითი წესით ნარმოებს, სათანადო ინსტრუქციის მიხედვით;

ძირების ან ზვინების დადგმის დროს მთავარი ყურადღება მათი შუაგულის კარგად დატკეცხას უნდა მიეცეს. თივის ზვინი უნდა იყოს შემდეგი ზომის: სიგანე ფუძესთან 4-5 მეტრი, სიმაღლე 6-7 მეტრი, სიგრძე 20-30 მეტრი. ზოგჯერ მეურნეობის პირობების მიხედვით შეიძლება თივის ნაწილი ძირებად ადგილზე დაიდგას და შემდეგ თავისუფალ დროს პირუტყვის შენობებთან მიიზიდოს ზვინების დასადგმელად. ასეთ შემთხვავაში უნდა დაიდგას მრგვალი ფორმის ძირი, რომლის დიამეტრიც 2,5-3,0 მეტრი უნდა იყოს. წყალი რომ არ ჩაუდგეს, ძირები და ზვინები შემაღლებულ ადგილზე უნდა დაიდგას, ქვეშ 0,5 მეტრის სისქეზე ფიჩი ან ჩალა გაეშალოს. ძირებსა და ზვინის გვერდებზე უნდა დაიდგას თივის ბულულები, რომელებიც დახახლოებით 10-15 დღის შემდეგ თავის მოსადგმელად გამოიყენება. ზვინის თავის მოსადგმელად დაბალი ხარისხის თივა უნდა იქნას გამოყენებული. ძირებსა და ზვინზე თავის მოდგმის შემდეგ ლატნები ან მავთულით გადაბმულ ქვები უნდა გადაეკიდოს. 10-12 მეტრი სიგრძის ზვინზე ასეთი დამაგრება 4-5 ადგილას დასჭირდება. ხანძრისაგან დაცვის მიზნით ზვინები დაშორებული უნდა იყოს ერთმანეთისაგან 50 მეტრით, ხოლო შენობიდან არანაკლებ 250-300 მეტრით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაცვლი

აკადემიკოს მამია გოგოლიშვილი - 100

დიდი ეცნიერისა და მაულიშვილის გახსენება

საქართველოს კათოლიკოს-აპოსტოლი ივანე თბილის მამია გოგოლიშვილი სასახელო გამულიშვილად შერჩეს.

წლეულს ასი წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს, პროფესორ მამია გოგოლიშვილს.

დაიბადა 1914 წლის 16 ოქტომბერს

ქობულეთის მაზრის სოფელ ბობოყვათში. 1924 წელს დაამთავრა ბობოყვათის დაწყებითი სკოლა და სწავლა ბათუმის ახლადშექმნილ პედაგოგიურ სასწავლებელში განაგრძო. 1929 წელს ლარიბების, მოჯამაგირებისა და ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის კვარელში სატყეო სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მსურველებს



უგამოცდოდ იღებდნენ. მამია გოგოლიშვილმა სწორედ ყვარელში მიიღო სამუალო-ტექნიკური განათლება

მეტყვევის სპეციალობით, 1933 წელს კი სწავლა საქართველოს სატყეო ინსტიტუტში განაგრძო, ხოლო მოგვიანებით, როგორც სუბტრიპიული ზონის წარმომადგენელმა, ამ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა.

ინსტიტუტში სწავლის პირველივე წლებიდან ინტერესით ჩაეცა ახალგაზრდულ საზოგადოებრივ საქმიანობაში და იმ დროისათვის აჭარიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდისათვის დამახასიათებელ უწეველო გამბედაობასა და ენერგიას იჩინდა. მესუთე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ის აჭარის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის მმართველად დაინიშნეს. ნახევარი წელიც არ იყო გასული და 23 წლისა ავტონომიური რესპუბლიკის მინათმოქმედების კომისარი გახდა.

მამა გოგოლიშვილი იოსებ სტალინიან გასაუბრების შემდეგ, მისივე რეკომენდაციით 1947 წელს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სახალხო მეურნეობის დარგების აღმოჩინებას შეუდგა და თავის აქტიურ საქმიანობას სოფლის მეურნეობის განვითარებას ახმარდა. ეს პერიოდი ძალზე ძნელი იყო აჭარისათვის. მართალია დიდი სამაულო ომი ორი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ ყველაფერი ახალ საწყისებზე უნდა გადასულიყო. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის აღმოჩინების გარდა ახალგაზრდა თავმჯდომარეს მხარის კულტურული დაწინიაურება, ქართული ტრადიციების აღდენააც განსაკუთრებით აინტერესებდა, გარედან ძალით თავსმოხვეული უცხო წეს-ჩევეულება და საერთოდ ძევრი უცხო ტოპონიმი იყო შესაცვლელი. ვის, ვის და ამისათვის მხოლოდ მთავრობას უნდა ეზრუნა. მალე აღდგა ქართული გვარები, სახელები და სახელწოდებები, რაც შეუძნეველი არ დარჩენილა. საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძემ მამია გოგოლიშვილი სასახლო მაბულიშვილად შერაცხა.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი მამიას მიერ განხორციელებული დონისძიებანი ზამთარის კათოლიკური ეკლესიის, სხვა უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადასარჩენად, ბათუმის ზღვისპირა პარეში საზაფხულო თეატრის უმშვერიერესი შენობის აგების სამუშაოები.

1953 წლიდან მეცნიერების კანდიდატი მამია გოგოლიშვილი საქარ-

თველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს ჩაუდგა სათავეში. აქაც მისთვის ჩვეული ენერგიით გააგრძელა სამეცნიერო მუშაობა მცენარეთა ინტროდუქციისა და ციტრუსოვანთ კულტურების აგროტექნიკაში. ზრუნავდა ბოტანიკური ბაღის კოლექციის გამდიდრების, სამეცნიერო კვლევა-ძიების პრობლემატიკის გაფართოებისათვის. მეცნიერული შრომის ორგანიზაციის ნიჭით მომადლებული პროფესორი, ცენტრალური ბოტანიკური ბაღის კოლექციის შემოქმედებით ხელმძღვანელობასთან ერთად, ამიერკავკასიის რეგიონულ ორგანიზაციას აყალიბებს.

მისი უშუალო ინიციატივითა და შრომით შეიქმნა ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭო, რომლის უცვლელი ხელმძღვანელიც წლების მანძილზე იყო. მამია გოგოლიშვილმა 1961 წელს დაიცვა სადოექტორო დისერტაცია, ხოლო 1963 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

იგი დიდ მზრუნველობას იჩინდა მეცნიერთა ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი – წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებული საბჭოს თავმჯდომარე. ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა აღზრდისა და ბიოლოგიური მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში განვითარება და სახელმწიფოს აღმდენიშვილის გარდა ახალგაზრდა თავმჯდომარეს მხარის კულტურული დაწინიაურება, ქართული ტრადიციების აღდენააც განსაკუთრებით აინტერესებდა, გარედან ძალით თავსმოხვეული უცხო წეს-ჩევეულება და საერთოდ ძევრი უცხო ტოპონიმი იყო შესაცვლელი. ვის, ვის და ამისათვის მხოლოდ მთავრობას უნდა ეზრუნა. მალე აღდგა ქართული გვარები, სახელები და სახელწოდებები, რაც შეუძნეველი არ დარჩენილა. საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატე ცინცაძემ მამია გოგოლიშვილი სასახლო მაბულიშვილად შერაცხა.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ბატონი მამიას მიერ განხორციელებული დონისძიებანი ზამთარის კათოლიკური ეკლესიის, სხვა უნიკალური არქიტექტურული ძეგლების გადასარჩენად, ბათუმის ზღვისპირა პარეში საზაფხულო თეატრის უმშვერიერესი შენობის აგების სამუშაოები.

მამია გოგოლიშვილი ბევრჯერ იყო არჩეული საკავშირო უმაღლესი საბჭოს წევრი.

მოს, აჭარის უმაღლესი საბჭოს და თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატიად. მათგან ყველაზე უფრო ბათუმის საპატიო მოქალაქედ არჩევას გაუხარებია სიმწიფის ასაკში შესული აკადემიკოსი. ბათუმი ჩემი ქალაქია, ხშირად უთქამს მას. მეტუთე ათეული წელია, რაც თბილისში ვსახლობ, მაგრამ ბათუმელი ვარ, ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე ენერგიული წლები აქვამიტარებია. ამ ძნელბედობის უამს მინდა, როგორმე გამოვადგა ჩემს კუთხეს, ეს ფიქრები მანუხებსო, ხშირად იტყოდა ბატონი მამია.

აუსრულდა დიდი ხნის სურვილი ღვანტლმოსილ მეცნიერს, მისი უშუალო ინიციატივითა და ძალისხმევით 1990 წელს დაარსდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკორდინაციო ცენტრი, რომლის თავმჯდომარედ წლების განმავლობაში თავად მუშაობდა, ხოლო 1994 წელს გახსნილ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო სა-სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი სუბტროპიკული კულტურების კათედრის გამგედ აირჩიეს და ლექციების კურსს სუბტროპიკულ მემცნარეობაში კითხულობდა.

საქართველოს აგროსამრენველო კომპლექსის დარგებისათვის მაღალკალიფიციური კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წლებისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით მამია გოგოლიშვილი ლირსების ოდენით დაჯილდოვა და იმავე წელს შეყვანილ იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაშ.

მეტად საინტერესო და საგულისხმოა აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის მიღების განვითარება და გოგოლიშვილი სახელმწიფო არგი განვითარების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წლებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით მამია გოგოლიშვილი ლირსების ოდენით დაჯილდოვა და იმავე წელს შეყვანილ იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაშ.

მეტად საინტერესო და საგულისხმოა აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის მიღების განვითარება და გოგოლიშვილი სახელმწიფო არგი განვითარების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წლებისათვის საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 ივნისის განკარგულებით მამია გოგოლიშვილი ლირსების ოდენით დაჯილდოვა და იმავე წელს შეყვანილ იქნა მე-20 საუკუნის გამოჩენილ პიროვნებათა სიაშ.

გურაბ ალექსიძე,
აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;
რეზო ჯაპნიძე,
პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა გურისტი,

კერ პილევ ხელით
ნვილით?
დელავალის (DeLaval) მოგილური
გადასატანი ქროხების საწველი
დანადგარი

უფრო ნაზი ვიღეთ მცველეობის ხელები!



მოდელი MMU11



მოდელი MMU12



მოდელი MMU22

დელავალის (DeLaval) მოგილური გადასატანი საწველი დანადგარები

რაც თქვენ გმირდებათ:

- შეგიძლიათ მოწველოთ 1-დან 16 ქროხამდე
- გაგიოლებთ შრომას
- იცავს ცურის ჯანმრთელობას
- ზრდის მონაწველი რძის რაოდენობას და ხარისხს
- იოლი მოსახმარია

კომპანია დელავალი
ოფიციალური დილერი



www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge
+995 2 90 50 00; +995 2 18 18 81



აღიანს ჯგუფი
ლიზინგით და გადახსადეთ
დანადგარების ღირებულება ეტაპობრივად

ტექნიკური დახასიათება

პროდუქტის აღწერა	MMU11	MMU12	MMU22
საწველი ნაწილების რაოდენობა	1	2	2
ბიდონების რაოდენობა (უჟანგავი ფოლადი ტევადობა 25ლ.)	1	1	2
ბიდონების საერთო ტევადობა	25	25	50
რამდენი ძროხის მოწველა შეუძლია ერთ საათში	8	16	16
ცარიელი დანადგარის წონა (კგ.)	67	73	82
სიგრძე/სიგანე/სიმაღლე (მმ.)	1200/520/930	1200/520/930	1200/695/930
ვაკუუმის ტუმბის წარმადობა (ლ./წთ.)	170	170	170
ელექტროძრავის სიმძლავრე (კვტ.)	0.75	0.75	0.75

თქვენი ყოველდღიური საიმართო დამხმარე!

DeLaval Bosio



დელავალის მობილური
საწველი დანადგარები
მსხვილფეხა და წვრილფეხა
მერძეული
მაცხოველეობისათვის

უფრო ნაზი ვიზრე მცველავის ხელები!



WORLD
მსოფლიო **TECHNIC**
ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge

☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

 აღმაშენებელი
ორგანიზაცია

ისარგებლეთ აგრო ლიზინგით და გადაიხადეთ
ტექნიკის ღირებულება ეტაპობრივად

შპს „აგროფლაგმანი“ გთავაზოგთ უსვეოსავლიან ხორბლის ჯიშებს „იუკასა“ და „ტანიას“ სათხულე მასალაც!

ჯიში „ЮКА“

თარმოშობა: ჯიში შეძმილია ჰიბრიდი ПОЛОВЧАНКА/РУФА-
ადან 4-ჯერადი ინდივიდუალუ-
რი შერჩევით.

ზოგადი დახასიათება.
LUTESCENS-ის ნაირსახეობაა.
სიგრძე დაახლოვებით 100 სმ-ია,
ეფექტური ჩანოლისა და გარც-
ვლის ჩარცევის მიმართ. საშუა-
ლოდ საგვიანო ჯიშია, შემოდის
3-4 დღით გვიან, ვიყრე სტან-
დარტული კიბეები.

გარცვალი ნითელი შეფერი-
ლობისაა, მოგრძო, 1000 მარცვა-
ლი იწონის 40-45 გრ.

მოსავლიანობა. ჯიშთა გამოც-
დის შევიტარში მასიმალური
მაჩვენებელი იყო – 111 ც. გარც-
ვალი ჰა-ზე.

კლიმატური პირობებისა და
**დაბადების მიმართ გამძლე-
ობა.**

სუსტად ზიანდება გურა, ყვი-
თელი და ღეროს ზანგათი, ნაც-
რით და მაგარი გუდაფუტით,
თავთავის საჭორიოზით და
ფუზარიოზით.

ახასიათებს გვალვაგამლეობა.

ჯიში „ТАНЯ“

თარმოშობა. ჯიში შეძმილია
ჰიბრიდი კალეს ხორბალთან უკუკ-
ცევითი შევაცარების გზით.

ზოგადი დახასიათება. ნა-
ხევრად კუპა ჯიშია, 5-6 სმ-
ით გაღალია სტაციურტულ
კიბ „СКИФЯНКА“-ზე, საკმა-
რდ ედგრადია ჩანოლისადმი.
ედგრადია გარცვლის ჩარცევის
მიმართ.

**დაფარვის და კურის გამოცხო-
ვის თვისებები.** 1000 მარცვალის
ნონა 45,4 დან 46,5 გრ-მდეა. მარ-
ცვლის ხარისხი აკმაყოფილებს,
ძირიფასი ხორბლის კიბეების
მოთხოვნებს.

მოსავლიანობა. 1999-2008 წწ.-ში
ამ კიბის გამოცდის შედეგად
მისი მოსავლიანობის მაჩვენებე-
ლი საშუალოდ შეადგენდა 11,7 ც
გარცვალს ჰა-ზე.

კლიმატური პირობებისა და
**დაბადების მიმართ გამძლე-
ობა.**

კიბი ედგრადია ნაცარის და
ემცრინება გუდაფუტის; გურა
და ცვითელი ზანგას მიმართ;
თავთავის ფუზარიოზისადმი
საშუალო სიმატკიცეს აძლიავ-
ნებს. საშუალოდ ინფიცირდება
ღეროს ზანგით და სიჭორიო-
ზით.

გამოირჩევა გაღალი გვალვა-
გამძლეობაც.

შპს „აგროფლაგმანი“
E-mail: ilazarashvili@mail.ru

ტელ.: 599 755 435

ბიო ორგანიკ პორტალ



BIO ORGANIC GEORGIA

ორგანიკა

სისამაშვილი
ალმაზანი



ენივერსალური თხევალი
ორგანიკ-გაეტერიული სასაქი
რომელსაც მოკორვებული ექვს
ორგანიკული სერტიფიკატი,
მინიჭებული ექვს
სეარტიმორისო ხერისხების
რეჟიმის გვირჩვინი QC100,
დამვარებული ეკოლოგიური და საფინანსო
კრიდებულის მოსაყვანებელ



GREEN
CAUCASUS



www.organica.ge

ბიოაგრო BioAGRO

BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS CENTER OF BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

ბიოაგროთა ბიოლოგიური დაცვის საშუალებები, ეპოლოგიურად საფთა ართდაეპირების მოსაყვანად

- კონსელტაცია პიოლერნობის მოწყობა;
- ნიადაგის ფიზისანითარული მდგრადი რეალიზაცია;
- მინარებითა დაავადების დიაგნოსტიკა;
- მოყანილი, სირთმებირეგული აროზაეპტის რეალიზაცია ხელმისაწვდომი.

www.bioagro.ge

სასუქი და მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები უცნებელია ატაშისანისათვის, ეკოსისტემისათვის, ცხოველებისათვის, ფრინველებისათვის, თევზებისათვის, ფუტკრებისათვის, სასარგებლო მწერებისათვის

☎ 599 16 05 10